

უცხოეთის მწერლები

ლუი გლანდი

პოლიტიკურ და ეკონომიურს ანკარაზედ

თფილისი

მსწრაფლმბეჭდავი „ლამპარი“ სემენოვის ქუჩა, № 4.

1906



# უცხოეთის ეწერლეუბი

და ისტორიკოს ეკონომისტ პუბლიცისტები ი.

37245

# ლუი გლანი

პოლიტიკურს და ეკონომიურს ასპარესზედ



ტ ვ ი ლ ი ს ი

მსწრაფლ-მბეჭდავი არ. ვ. ქუთათელაძისა ფრეილინის ქუჩა, № 12.

1906

Дозволено цензурою Тифлисъ, 29 апрѣля 1905 года.

## გ ა მ ო რ ი ე ნ ი ლ ი კ ა ც ე ბ ი .

### ლ უ ი - ბ ლ ა ნ ი .

მე რომ სიტყვა—მკვერი და ენა-რიტორი ვიყო, მაშინ ისტორიკო-ფილოსოფი ლუი-ბლანის სახელს და მოქმედობას დიდის ღალადებით და სიტყვა კაზმულის საუბრით მოვრთავდი. აღიარებულია, რომ უდიდეს ნიჭის მქონე პირები, მარტოთ თავიანთ ერს არ ეკუთვნიანო. დიდებული ჰაზრი უპატრონო უნდა იყოს, მის პატრონობას მთელი მსოფლიო ერი უნდა აღიარებდესო. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ლუი ბლანი რამდენათაც თავის მეცნიერულის ღალადებით საფრანგეთის ერს ეკუთნის, იმდენათვე სხვებს, მთელს ევროპას და აზიის ერს. ჩვენთვის, ქართველებისათვის, რამდენათაც საჭიროებას შეადგენს ჩვენი ზოგიერთი საპატიო პირების ცხოვრების გაცნობა და გაგება, ამათზე არა ნაკლებ საჭიროებას და საქმეს უნდა შეადგენდეს ამ პირის მოძღვრების და მოქმედების გაგება.

სწერენ: რომ ბოკლისა და დრეპერის მსგავსად-ისტორიაში ნათლოვანის ახალის მიმართულების და აზროვნობის წარმომადგენელ და ნამდვილ რეალისტურ ფილოსოფოსად წოდებულ ლუი-ბლანი ახალგაზდობის დროიდანვე გამოვიდა საზოგადო ასპარეზზეო. ეს გამოჩენილი პირი მოღვაწეობს დაუცხრომლად, იბრძვის დამდაბლებულ ერის სასარგებლოდ, მათ პირად თავისუფლების მძებნელად, მათი ინტერესების დამცველად და სხვანი. მაგრამ როგორ? ისე კი არა, რომ ზოგიერთ დიდათ მოუშადებელ საგვარტომო პატრიოტებით ეს ერთის დაწვა—ანიავებას ფიქრობდეს და მით მეორის აყვავებას, ხელის გათბობას, არა, ამას სულ სხვა კეთილი

პირობები აქვს სახეში მიღებული; ამისათვის იგი თანასწორუბრივის მეცნიერების დასაწყისით იღვწის. ეს მოქმედებს ამ საქმისთვის სიტყვიერ და ძრიელის კალმით. მისი მოქმედება არის თითქმის შეუმცდარი და სპეტაკი; მისი სიტყვა და აზრი იქამდის მალაღია და პატივს საცემი და სადიდებელი, რომ იგი შემდეგში მრავალთათვის ხდება საყურადღებოდ და სადიდებლად.

მის მეცნიერებით სავსე სიტყვას და შიშობას მრავალი გამოჩენილ მწერლები ეტანებიან და ითვისებენ. მისი გულმართალ მოძღვრების პატივის მცემელი არამც თუ საფრანგეთში, არამედ სხვა სახელმწიფოებშიაც ჩნდებიან, ნამეტურ გერმანიაში. აქ მთელი რიგი დაიბადა ისეთი მწერლების, რომლებსაც შესანიშნავი სიტყვების წარმოთქმაში და დაბალი ერის წინ მსვლელობის საქმეში ლუი-ბლანის მოძღვრება და მეცნიერება უძველესი წინ. ესენი ხდებიან განმხივრებლათ იმ აზრების, რომლებიც ლუი-ბლანმა მათზე წინეთ წარმოსთქვა.

ლუი-ბლანი, მარკსი და ლასანი ევროპამ თითქმის სამეზობათ იწამა. ამათი მოძღვრება ბევრს ხელოსან მუშებს დუთვით მდიდარ კაპიტალისტებს და მდიდარ თავად-აზნაურებსაც გაუჯდათ ძვალსა და რბილში. რაც ლასალმა. ბებელმა, ლიბკნეხტმა და ენგელსმა გაავრცელეს გერმანიაში და წინ წასწიეს 1870 წლებში. ის 1850 წლებში ლუი-ბლანის, პრუდონისა და ოგუსტ-ბლანკისაგან საფრანგეთში აღორძინდა და იმავე დროს გამოჩენილის მარკსისაგან გერმანიაში. დღესაც კიდევ თუ სადმე ღვივის საწყალი და ლატაკ კაცთა პიროვნების შეწყნარება, ამ შეწყნარებაში ლუი-ბლანის პატიოსანს მეცნიერების მექონ თანასწორებრივ დასაწყისს არა მცირედ აღვილი უჭირავს. ლუი-ბლანის და მის მსგავს კაცების სიტყვები იქამდის სიმაართლით და ქეშმართებით არის გარემოცული, რომ მას იმავე თავიდამვე ასი ათასობით უჩნდებოდნენ პატივის-მცემელი.

ეს ძვირფასი კაცი ყველა წოდების კაცს ერთად აერთებს.

ბევრს მედიდურობით გაზდილ თავადს და აზნაურს, რომელთაც გულში ჩარჩენილი აქვს განსხვავებითი თავის წოდებრივი დიდება და პატივისცემა, ეს, ასეთ არა პატივისცემ პირს, თავის ძლიერის მეცნიერულის სიტყვებით თავიდან აცლის თავის ოცნებას და ბოროტ უთანასწორობის დამცველ აზრებს. ლუი-ბლანის წინაშე წოდებრივ მემკვიდრეობითი სიმდიდრეს არაფერი მნიშვნელობა და განსხვავება აქვს. აქ საქმე კაპიტალიზმის აღორძინებას და მიმოსვლას შეეხება. კაპიტალიზმში. რომლის წარმომადგენლათაც ირიცხებიან ყველანი, ვისაც კი შეძლება აქვს და მეორე წრე მუშის, რომელთაც კაპიტალათ მხოლოდ შრომა და ჯანი აქვთ. ამ პირების მეოხებით სრულიათ დაეცა ის აზრი რომ თითქოს თავად-აზნაურებში სულ მდიდრები არიან და ღარიბი მათში არავინ არის. ამიტომ მრავალნი მათ მოსპობასაც ფიქრობდნენ. ეს მათ უარი ჰყვეს და სიმდიდრის და სიღარიბის საქმე სხვანაირათ ახსნეს. ეს ახსნა დღეს წინ მიდის და რიგიც არის წინ წავიდეს.

რაც შეეხება წოდებრივ მედიდურებას- ამის გამო იგი ამცნევს მათ დიდის მეცნიერულის დაღადებით, რომ შენც კაცი ხარ, დედის მუცლიდგან დაბადებული, მეფეც, თავადიც აზნაურიც, მღვდელი, მუშა და გლეხიცო. თქვენ ყველანი ერთნი ხართ და მიტომ ერთ დასსაც უნდა ეკუთნოდეთო. დასს პატიოსნებისას და სინდისისას, მსოფლიო ძმობისას და თანასწორობისას. როგორც მუხთაღ და ველურ აზნაურობის მექონ პირს აკეთილშობილებდა მისი სიტყვა და მათ დიდებულის მეცნიერულის და თანასწორის თავისუფლების წინაშე აღრეკინებდა მუხლს და პატივს აცემინებდა, ისევე მეტი მეტი მეცნიერულის მექონის ხასიათებით სწურთნიდა დაბალ ერს და მათში ნერგავდა მეცნიერების პატივისცემას. ამათ იგი ამცნევდა, რომ იგინი უნდა იყვნენ დიდის თანასწორებრივის თავისუფლების მოძღვრების მოძრჩილნი; იგინი უნდა მეცადინეობდნენ თავის განკაცებას, მათ არას დროს არსად ერთი აზრიც არ უნდა გაატარონ გულში იმის შესახებ, რომ

მათ ვისიმე ცხოვრებას დაეცნენ, აიკლონ, აანიავონ და მით-  
ისარგებლონ და იხელმძღვანელონ ისე როგორც წინეთ უსა-  
რგებლიათ და უხელმძღვანელებიან ჩვენ საგვარტომო ლიბე-  
რალებს, ჩვენს კაპიტალისტებს, რომლებმაც თავიანთი ოს-  
ტატობით მთელს ერს წაართვეს ხელირგან თავისი საკუთრე-  
ბა, მოსტაცეს ყველაფერი. ესენი მეტის მეტათ უკანონოდ  
მოიქცენ. ამათი საქციელი ყოველნაირს უმცირეს ღირსება-  
საც კი მოკლებულია. საწყალი ხალხი დღეს ამათ უღელქვეშ  
საცოდავთ იტანჯება და წყაღდება. მაგრამ ესენი მაინც არ  
მიბაძვენ მათ უსამართლობას და მათ კვალათ ბტაცებლობით  
არ იმოქმედებენ. ამათ წართმევა იქნება პატიოსნური, ანუ  
დიდის თანასწორებრივის აზროვნების დაღადების პროგრამის  
თანახმად, ესე იგი მეცნიერულის კომუნიზმით.

ეს წოდება არ არის დაჩვეული იმ უზრდელ ცარცვა-  
გლეჯას, რაც ჩვენ საგვარტომო ლიბერალების შეუძენიანთ,  
ეს უსამართლობა დაე ამ შეძლებულ ერს ეკავოს, დაე ესენი  
ხელმძღვანელობდნენ მით, მისგამო იგინი ერთხელ დაისჯებიან  
კიცხვა-რისხვით და შეჩვენებით, დოვლათით გათანასწორებაც  
ნობდება და სრულიად გაწყალება კი ყოველად შეუძლებელია.  
ამაში ლუი-ბლანს ძრიელ უახლოვდებიან მრავალი გამოჩენი-  
ლი მწერლები და მათ შორის გერმანელ ფილთსოფოს ალ-  
ბერტ ლანგეს მოძღვრება, პ. მირტოვი და მრავალიც სხვები.  
წინააღმდეგია ამის პ. ტაჩოვი და ზოგნიც სხვანი. ქეშმა-  
რიტად ეს ასეც უნდა იყოს. ესენი უნდა მოისპონ მხოლოდ  
წოდების მედიდურობით და შავს მშრომელ მუშა ხალხს უნ-  
და გაუთანასწორდნო. ოხ ღმერთო! მომასწარ, რომ ჩვენს  
დაჩაგრულ საყვარელ მამულშიაც გავიგონო ამის ხმა; რომ  
ქართველ აჯამათ წოდებულს ჟმანკო მშრომელ მუშას თავის  
მედიდურე ბატონი გვერდში ამოუდგეს და მის მეოხებით  
მათ ერთათ ერთი თანასწორებრივი ძმობაც დააბსონ. ესენი  
მაგალითად გახდებიან მთელის აზიის ხალხების თვალში.

ეს დიდებული პირი ასეთ სახსოვრებათა გარდა მეტად სიტყვა კაზმულის კილოთი რთავს ყველა დამდაბლებულ და დამცირებულ გვარტომობათა მდგომარეობასაც, რომელნიც ხშირათ მძლავრის ტომის სამეფოებისაგან იღვენებიან და ბოლოს მათის მეოხებით სრულიათ ისპობიან დედა მიწიდან ეწით, წეს ჩვეულებით და გვარტომობით, რადგანაც ძლიერი საამეფო მათ გადაგვარებას სცდილობს. ლუი-ბლანს ეს ერთობ სძაგს ასეთ სამეფოებს მეცნიერები შეჩვენებით მოიხსენებენო, მუშა ხალხს ლუი-ბლანი მეტის მეტად კარგად ურჩევს და ურკვევს მათ ცხოვრების ზოგიერთ მხარეებს. ამის რჩევა დიდს სამაგალითო მოძღვრებად უხდება მუშა ხალხს, განსაკუთრებით ისეთ მუშა ხალხს, რომელსაც თავისი დღიური ლუკმაც კი გასჭირებია. ესენი ისეთ მდგომარეობაში ჩავარდნილან, რომ მის მეოხებით მათ ამ სოფლათ თითქმის ყველაფერი დავიწყებით ცოლი, შვილი, თავისუფალი ბინა, პირის გემო, ჩაცმა-დახურვა და სიამოვნება, ლუი ბლანის ასეთ პატივ სადებელ სიტყვებმა დიდი დავალება დასდო დაბალ წოდებას. ლუი ბლანის, ბლანკის და პრუდონის მოღვაწეობამ მოუყარა ერთად მრავალ წოდების ერს, ესენი შეაერთა დიდის თანასწორებრივის მოძღვრების მეოხებით: ესენი შეაერთა კეთილის, ერთის ნატვრით, ამათ ყველას დაავიწყა თავ-თავის წოდების პატივის ცემა, ესენი გახადეს ერთ წრეთ, ერთ ძალად, ერთ მებრძოლათ და თავისუფლების მძებნელათ.

ამ თავისუფლების მძებნელთ რიცხვი აქამდის ძრიელია, იქამდის დიდებით სავსე, რომ მის მეოხებით და ძალოვნებით საფრანგეთის ერის ცხოვრების მსლელიობა მრავალ ნაირს ძალოვნებას ითვისებს და ერს თავის გონებით აფოლადებს; ამის მეოხებით საფრანგეთში ძირს ეცემა სახელმწიფო და მისი წარმომადგენნი, რომელთაც ედგარ-კინეს \*) სიტყვით, თავიანთის ძლიერის ძალით ერისთვის შექნეს სულ ახალი სჯული. ეს თანამედროვე ერის სჯული პირდაპირ მონე-

\*) ისტორია საფრანგეთის რევოლუციისა, ედგარ კინესი.

მის აზროვნების თანახმა არსებას შეადგენს, მასში უცხო არაფერია ქრისტესი, ეს დამტკიცდა მაშინ, როცა ერთმა პროფესორმა ნაპოლეონ III ქრისტეს შეუღარაო. ამათ მაგიერ გამგეობას ითვისებს განათლებული ძალა და ფებს იდგამს თანასწორების ღაღადება, ნაპოლეონს და მის გვარის წარმომადგენთ ხელიდგან ეცლებათ ყოველნაირი საშეღებანი სიტყვა, ზმა და მათ მაგიერ ყველა ამებებს იკავებს ერი, ყველგან იწყება თანასწორობის და თავისუფლების პატივისცემა.

ლუი-ბლანი და მის მზგავსი კაცები ხდებიან გამოჩენილ პირებათ და ილაჯ გიწყვეტილ ხალხის მომხრეთ, ამ გამოჩენილ პირთ დავალებჳ არის საუკუნო. საყოველთაოდ საარსებო, ამათი მოძღვრება ყველგან იმაგრებს ფებს. იგინი ამცნევენ მკაცრის განსჭვრეტით ყოველს პირს მის პირად თავისუფლების მნიშვნელობას და სხვებს. ყველას მოთვლა აქ ძნელია, ასეთ გამოჩენილ მეცნიერთ მოღვაწეობას კი ზოგიერთი სახელოვანი ბურჳუაზული და კონსერვატიული მწერლები მტერობას სწამებენ, ლუი-ბლანი და მის მზგავსი კაცები ახალ მოზარდ თაობაში სოციალურ ოცნებათა მეოხებით მეცნიერების სიმძულვარეს და გულის აცრუებას ნერგავენო. ესენი მტრები არიან მეცნიერებისო. ასეთ საყვედურებს ამბობენ ისეთ მენისტორიენიც კი, როგორც შლოსერია, შმიტი, ვებერი და მრავალიც სხვანი. მაგრამ განა შესაწყნარისია ეს, ვინც ამ პირების ბიოგრაფიები იცის, ის კარგათ მიხვდება ამ პირების გულის ტკივილს თუ ესენი ლუი ბლანის და მის მზგავს სოციალურ მენისტორიების და მწერლების წინააღმდეგ რისთვის ირაზმებიან. სამწუხაროა, რომ ასეთ უდიდეს პირებს თავიანთის მეცნიერებით და სოციალურის მოძრაობით ქვეყნის თვალში ასე ამკარავებენ.

ნეტავი ვინ არიან ეს ძვირფასი კაცნი? — თუნდ ლუი ბლანი, ნეტა ვინ არიან ეს რევოლუციონერ კაცთა სავანის წევრნი? ეს გახლავთ ბერნეს სიტყვით. მეტათ პატარა კაცი. მრავალნი გაკვირებულნი იყვნენ და არიან კიდევ ლუი-ბლანის ნიჭიე-

რების გამო. გაკვირვებულნი იყვნენ და არიან ნიჟ უფრო, რადგანაც ამ უდიდეს ისტორიკ-ფილოსოფოსს ასე განცხადებლობდა თავის ძვალსა და რბილში ღარიბთა და ღატაკთ პატივისცემა, ტანჯული ერის ერად აღიარება და სამსახური, რომელთგანაც ის თავის დღეში ჴეროფერ ჯილდოს ვერ აიღებდა. ასეთ საცოდავ ერისაგან ლუი ბლანი ჯილდოთ არას ეძებს. იგი არის მეტათ ღირსეული მოქალაქე, იგი არის თავის ქვეყნის ანუ ერის შვილი; ის ეკუთნის თავის ქვეყნის დამდაბლებულ ერის წრეს, იგი ამ დამდაბლებულ ერის გაჭირებულს ცხოვრებას დიდს ყურადღებას აპყრობს. იგი ამ საწყალი ხალხისათვის არას იშურებს: ამ ერის უბედურება მას გულს უწვირილებს და გონებას უშმაგებს, ამის ბრძოლის საგანს ის შეადგენს, რომ მისი ქვეყნის მეტათ შეწუხებული ერი თავის ბნელის მდგომარეობიდან გამოვიდეს და განთავისუფლდეს მონობის და მცარცველობისაგან, იგი დაადგეს განვითარების და წარმატების გზას, თავისუფლების და თანასწორობისას.

ამ უბედურმა ერმა იცნას და გაიგოს ის, რომ იგიც კაცია, ადამიანია ისეთივე, როგორიც ნაპოლეონი, როგორიც პაპი, როგორიც ტიერი, გიზო და სხვანი; მათ იცნან ის, როგორათაც ამათთვის არის პირის გეგო საჭირო, ესევე მათთვის, როგორც ესენი სარგებლობენ და სუნთქავენ თავის უფლებით, რომ ეს ისევე ამ საწყალი ხალხისათვის არის საჭირო, როგორც ესენი სდგანან მშრალს ოთახებში და განისვენებ მშვენიერს ხალებით მოსილს ტახტზედ და ლოგინზე, ისევე მათთვის არის საჭირო, ამ საწყლებმა უნდა იცნან თავიანთი მდგომარეობა და ცხოვრების პირობები; მათ უნდა გაიგონ ის, რომ მიწა და მისი მფლობელობა გვარიშვილობის და სიმდიდრის მექონ ერს გარდა მშრომელს ხალხსაც ეკუთვნის, იგი ვინც უნდა იყოს, გინდ თავადი, გინდაზნაური, გინდა მღვდელა, გინდ გლეხი, გინდ მოქალაქე; ამ საწყლებმა უნდა გაიგონ საგანი და მნიშვნელობა თავიანთი ცხოვრებისა.

ეს იმიტომ, რადგანაც ყველა ერთნაირი კაცი ვართ, ყველას ორი თვალი გვაქვს, ერთი პირი, ორი ხელი, ორი ფეხი ორი ყური, ჩვენი სხეულიც ერთნაირს საზრდოებას თხოულობს. ბუნებას ჩვენ არაფრიდ გაურჩევივართ, ეს გამორჩევა მხოლოდ ჩვენ მოგვიხდენია ჩვენის ბნელის და მიუხვედრელის დიდ-პატარაობის თაყვანის ცემით, რომლის მხგავს მომტყუებელს და უბრალო ხალხის გონების მომშხამველს ცრუ ოცნებობით დაგვირგვინებულს საწმუხნებას უწოდებს.

ლუი ბლანი აქ ერთობ უახლოვდება ინგლისის ფიზიოკრატს ადამ-სმიტის მოსაზრებას, ეს დიდ-პატარაობა ჩვენს მეფეებს და უმაღლეს პირებს ფულების დახურდავებაზე აქვთ მიქცეული. იგინი ამას ისე ატრიალებენ როგორც მოსწონთ და უჯობთ. ეს შეადგენს ლუი-ბლანის საკამათო საგანს; ამისათვის იღვწის იგი, ამის დაღეწვა შეადგენს მის ნეტარებას და სიხარულს. საცა საქიროება თხოულობს, იქ ეს შავს არშიას ავლებს თავის აზრებს და მწარე ცრემლებით აპკურებს, საცა საქიროდ ხედავს, იქ კამათობით დასცინის მრავალს უკუღმართ პირებს. ეს თავისუფლად ასმენს სახელმწიფო თავდა-აზნაურებს და ბურჟუაზიას, რომ თქვენ უაზრონი ხართ, თქვენში აზრი და პატიოსნება სრულიად დამარხული არის. თქვენ თქვენის ღირსებით თქვენი წოდების ვითომც და პატიოსნების მაჩვენებელი დროშა მიგაჩნიათ, რომელიც გალაფულია თქვენის უმეცრებისგან. ეს დროშა გახდება მოწმათ თქვენის სირცხვილის და დაღატ შეცდომების.

ლუი ბლანი დაიბადა 9 ოქტობრეს 1811 წ. ეკუთვნის ქალაქ მადრიდაში. მის მამა იყო ისპანიის კაროლის იოანეს ბიზნანსთა ინსპექტორი. დედა მისი შთამამავლობით კორსიკანელი ქალი იყო. თვისი ყმაწვილობა ლუი-ბლანმა კორსიკაში გაატარა. ამის ნათესავები და ძმები სულ რომაელისტები ყოფილან. ლუი-ბლანის მამა პაპა კი-თავისუფალ მოსაზრების და რესპუბლიკის მომხრეობის გამო მართველობისაგან დევნილი ყოფილან იმის პაპა I რეოლიუციის დროს სიკვდილით იქმნა დასჯილი.

შემდეგ რევოლუციების დროს მის მამასაც ასეთი ხვედრი ხვდა, მხოლოდ მან თავი დაიხსნა, რადგანაც თავისი მოჭრის დღეს საპტიმროდგან გაიქცა და მით უშველა თავს. ასე და ამგვარდ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ გამოჩენილის პირის პაპა პირველ რევოლუციის დროს სახალხო საქმის გამო სიკვდილით დაუსჯიათ და მის შვილსაც ესეთივე ხვედრი სწვევია. ფიქრიარ უნდა, რომ ეს შემთხვევები პატარა ლუი ბლანს საკმარისად დააფიქრებდნენ და მკაცრის მიმართვით აღუძრავდენ ცნობის მოყვარეობას იმის შესახებ, თუ მისი პაპა რა მართლ-მსაჯულების მეოხებით იქნა სკვდილით დასჯილი, მან რა დააშვა ისეთი რომ იგი ამით იქნა განკითხული. ეს არაფერი კიდევ მის უმთავრეს საკითხს თვის მამის დასჯის საქმეც შეადგენდა, მიზეზებს კითხულობდა პატარა ლუი-ბლანი, მაგრამ სიკვდილით დასჯის ღირსეულს მიზეზებს კი არავინ ეუბნეოდა.

ასე, ლუი-ბლანს თვით მეტად პატარობის დროშივე მისცენია საფუძველი ზოგიერთ რთულ საქმებისა გაგებასა, რომელებთანაც შეკავშირებული იყო ბევრი რამ სიმარლის და სიმტყუნისაც. სხვა და სხვა მიზეზების გამო ამის მამა ისპანიიდან საფრანგეთში გადასახლდა და თავასი შვილი ლუი ბლანი მისცა სასწავლებლათ კოელეგიაში, ის სწავლულობდა იგი 1831 წლამდე, ორი წლის შემდეგ ლუი-ბლანი გადასახლდა პარიჟი. იგი შევიდა პარიჟის უნივერსიტეტში და დაადგა ირუდიდიულს სწავლას. უნივერსიტეტში ყოფნის დროს იგი რაძენიმე ბავშს ასწავლიდა. ამავე დროს იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ექიმობას, ფიზიოლოგიას, პოლიტიკურს, ეკანომიას, ანატომიას, სახელ-მწიფოს სწავლას და მრავალს სხვებს. 1837 წელს ამან დაამთავრა უნივერსიტეტში სწავლა. უნივერსიტეტში ყოფნის დროსვე შეჩვია იგი აზროვნებას, მწერლობას, ზოგიერთის კითხვების განსაზღვრას და ახსნას. ეს ამავე დროს დიდ ყურადღებას აქცევდა დაბბალ ერის ცხოვრებას და ეს მან შესასწავლ საგნათაც გაიხადა.

ნამეტურ დიდის სიბეჯითით ავლებდა თვალს სახელმწიფო კანონმდებლობას, მართლმსაჯულებს და ნამეტურ ისეთ პირთ ვინც სხელმწიფო მოლაღატეობის გამო სიკვდილით ისჯებოდნენ. მისთვის უმთავრეს საგანს ეს შეადგენდა, ეს იმ დროის სახელმწიფო წესდების სხეულებრივ აგებულებას დიდათ აკვირდებოდა. ამ ბეჯითის დაკვირვებით იქამდე მივიდა, რომ 1833 წელს მან ორი წერილი დაბეჭდა. ამ წერილებში იგი ამბობს; რომ მართველობის წინაშე მიმართულს ხალხის ძაღს ვერაფერი დააბრკოლებს, ვერც მართველობის თავი და ვერც რამ სახელმწიფოების ბრძანება, რომელზედაც განისვენებს უთანასწორობის და უკანონობის სარწმუნეობა...

იმ დროის სახელმწიფო პირთ ბევრს რამეს ამცნევს და ასმენს. ლუი-ბლანმა თითქმის ამ წერილებით დასძრა ის ქვეშაარტების ხმა, რომ ერის უფლება მთელს ერს უნდა ეკუთნოდეს მიტომ რომ ის ერის საკუთრებას შეადგენს და არა ერთი რომელიმე პირისასო; ფრანგები ასეთს ქადაგებას ხაზნი არ არიან, მაგრამ მათში ბევრი იყვნენ ისეთი პირები, რომელთაც ეს დიდათ ეწყინათ, ნამეტურ შექლებულს თავდაზნაურობას, რომელიც თავის დაარსებიდანვე გაყიდული იყო ყოველნაირ სახალხო და სამოქალაქო საქმეებისაგან. ესენი მსხვერპლად იყვნენ გამხდარნი ტახტის მფლობელის წინაშე, ესენი შეადგენდნენ ერთს რაღაც სამწუხარო და სამარცხვინო მოვლენას, მოვლენას სიზარმაცისას, ამაყოზისას, მედიდუროზისას, სხვის ცარცვისას, დარბევის და სხ. მართველობას ასეთ წოდებასთან ქონდა კავშირი და ამხანაგობა. ესენი შეერთებულნი იყვნენ ერთად, ერთის შეერთებულის ძალით სწოვდნენ ხალხს სისხლს. ლუი-ბლანის ძრიელმა სიტყვამ ბევრს ამათგანს შეურცხვინა გრძნობა და სინიღისი. ლუი-ბლანის ეს პირველი წერილი რამდენათაც ამ მუქთა და ცოდვილს წოდების შეილებისათვის იყო საკიცხი და საგმობი, იმდენათ პატრის ცემდნენ ილაჯ გაწყვეტილი საწყლები; ასე რომ მკიცხველთ მუქარებას ეს არ შეუშინდებოდა, რადგანაც თანამგრძნობნი

იქვე გვერდში იყვნენ და იცავდნენ მის ბრწყინვალე უდიდეს აზროვნების სხივებს.

იმავე დროს ლუი-ბლანი პოლიტიკურს და ეკონომიურს კითხვებშიაც საქმარისად წინ მიდიოდა; მის მეოხებით ამ ხალხის სილატაკის მიზეზებს მეტის მეტი შორს მჭვრეტელობით იძიებდა: ერის სილატაკის მიზეზებს, განვითარების ზომას, გათახსირებას, უგუნურებს და სავების. ყველა ამ უბედურობის მიზეზების კვალს იგი სენ სიმონივით სულ სახელმწიფოს დასაწყისის სათავეს აწერდა: იმას თვალწინ ედგა ერთს მხარეს საფრანგეთის სახელმწიფოს გამაძლარ პირების რიცხვდ, რომელნიც უზრუნველად სტკბებოდნენ და სიამოვნებიდ ატარებდნენ თვის ცხოვრებას, მეორეს მხარეს იდგა ისეთი დაჩაგრული და მშიერი ერი, რომელიც თავის გაჩენის დღესაც კი სწყევლიდა თვისის უბედურის ცხოვრების გამო, ამ ილაჯ გაწყვეტილ ერის შესახებ ლუი-ბლანმა თავის აზრი და უკმაყოფილება კოლეგიაში ყოფნის დროსვე ამცნო საზოგადოებას.

ამან ერთს ნაწერში გაატარა; — „ჩვენ რა კაცები უნდა ვიყუნეთ ვალტერის, რუსის და სხვების შემდეგ, რომ დღევანდელი საწყველი მშრამელი და დამონებული მუშა ვერ განჯათავისუფლდნენ მახებისგან და შევლეთავებისგან“ 1835 წლიდამ ლუი-ბლანი დიდის გულს მოდგინებით მიეცა ამის შესახებ აზროვნებას და სჭვა და სხვა წერილების წერას.

ამის წერილები იბეჭდებოდნენ ამ დროს ერთს თავისუფალს გაზეთში, ხუთის წლის განმავლობაში ამის თავისუფალ-მოაზრება ერთ წუთსაც არ შეჩერებულა. ერთის სიტყვით ეს გამხდარა ბევრის ლიბერალური და რადიკალურის გამოცემების თანამშრომლათ. 1837 წელს მიეკედლა სტუციულურს და პროგრესიულს გამოცემებს. 1838 წელსა რედაქტორობდა ისეთსვე გამოცემებს, 1839 წელში მან დაბეჭდა ხელმწიფური იდიის შესახებ და თავის პაზრი გამოთქვა მუშა ერის რეფორმების გამო. ესევე მან განავრცო თავის ცნობილს წიგნს „შრომის დაარსებაში“. 1840 წელს მან უკვე მოამზადა ერთი თხზულება.

ცალკე დასაბეჭდათ, სადაც გაყავს შემდეგი აზრი! „უმადლესად შეძლებული ერისაგან დაბალი მუშა ხალხი ერთად ეტემა ძირს და წყაღდება, ამათი ხელფასი ისეა. დავარდნილი, რომ რასაც ესენი იღებენ, ის მათ დღიურ სახარჯათაც არ უოფნისთ. ეს საწყევლები თითქმის მონებათ არიან გადაქცეულნი შემძლე ვაჭრების. ფაბრიკანტების და მემამულეების წინაშე, ეს საწყევლები დღე და ღამე მუშაობენ და ამ დროს კი უფველთვის შიმშილს და წამებაში არიან, ამდენსაც ვერ იღებენ, რომ მათ კუჭი გაიძღონ ხეირიანად“. ასეთს უძღლურს ერს, ასეთს შრომისაგან დაღალულს თავის დიდს შრომის საჭირო ლუკმის შოვნის უფლებაც არ ჰქონდათ და მიტომ ესენი შიმშილისაგან დაოსებულნიც იყვნენ! ასეთ უბედურის ერის გულში თავის გაჭირვების მეოხებით სწორეთ ცეცხლის მსგავსი გენია ენთო და იწოდა მათი გრძნობები. ეს გაჭირვებულნი აზროვნობდენ.

ნეტა რის მაქნისი ვართ? ნეტა რა არსებანი ვართ? რად დავიბადნეთ და რად ვცხოვრობთ დედამიწაზედ, თუ ჩვენ ასე უმადურათ გავატარებთ ჩვენს დროს? როგორის მხრითაც კი უნდა გავსინჯოთ და გავარკვიოთ ღვეანდელის უმეტესი ნაწილის ერის ცხოვრება და მდგომარეობა, იგი წარმარგვიდგენს ერთს მეტად უკანონო რამეს. წარმოვიდგინოთ თუნდა ჩვენი წმინდა მამების ღალადება, რომ ჩვენ ყველანი ადამის შთამომავალნი ვართ, ყველანი ძმები, ერთი მამის შვილებიო, ამის გამო მე მგონია რომ ჩვენც ერთს მდგომარეობაში უნდა ვიქმნეთ: მაგრამ არა აქ თვით ამის წინააღმდეგ მეტიც მეტი უთანასწორობა დამკვიდრებულა და ერთი მეორეს ნთქავს. ერთს დაუჭერია ხუთი ათასი ქცევა მიწა, ქარხანა, ფული, ტყე, მთა, ბარი, სახლკარი, ამის მომტაცებელნი განისვენებს უზრუნველად; შეძლებული საწყალ ხალხს უბრალო ფასით მუშათ იკავებს და მის შემოსავლით სცხოვრებს-კარგად, მშრომელი ხელი კი, რომელიც დღე და ღამე მუშაობს და თავს აკლავს მუშაობას, იგი მშიერია თითქმის ყოველთვის, იგი მოკლებულია ყველაფერს, იგი მსხვერპლია

უსამართლო უთანასწორობის, რომელიც შემოუღიათ და დაუდგენიათ ჩვენს წმინდა მამებს, თვით თავიანთი სწავლის წინააღმდეგ.

ამათვე დაუწესებიათ ის, რომ რაც გინდა ბოროტებას გიშვრებოდნენ, შენ მაინც გულში შურს ნუ გაიტარებ, თორემ იგი ღმერთ მამას ეწყინება! მაგალითად ზოგიერთი სავაჭროები ხორციით, პურიით, ღვინით სავსეა, ესენი აქ ლამის გაფუჭდეს, დაღბეს, ამ დროს აქავ შიმშილისაგან ხალხი ლამის გაწყდეს, ეს ნუ თუ არ უნდა ეწყინოს ღმერთ-მამას, მაშ ამ დროს მშვიდ ერს გულში შური რო ჩაენერგოს, ნუ თუ იგი გასაკიცხი იქნება ბუნებისა, სინილისისა და ღვთის წინაშეა. თუნდ ავიღოთ ეკლესიები სადაც ათასნაირი ტიკნები ოქროში, ვერცხლში და ფულში ლაპლაპებენო, სადაც აუარებელი სიმდიდრე სძევსო, მაშ ღარიბ კაცს ამ სიმდიდრის განაწილება რომ ჩაენერგოს გულში, ნუ თუ ეს ცოდვა იქნება. ნუ თუ ღვთისთვისაც, საჭიროა ის სიმდიდრე, რომღებსაც სხვების შესაძენათ სასტიკათ სწყევლიანო. ჩვენი წმინდა მამები ბევრ პირების ერთსა და იმავე დროს სიმდიდრის შეშედენას სწყევლიან და აქებენ კიდევცა და იმავე დროს თვით კი უფრო ბევრს ხვეტენო.

ლუი-ბლანი ამბობს „შეიფვარეთ თქვენი ძმები და თქვენც ღმერთი შეგიფვარებთ“ წინააღმდეგი აზრები არ შეეფერება კაცობრიობას, მათ უნდა იცოდნენ, რომ იგინი ეკუთვნოდნენ კაცობრიობის უდიდეს თანასწორობის ძმობას. ამის დამეწყებელი მტერი იქნება თავისის სინილისის და საჭირო ნამუხის აქეთ მშრომელი ხალხი. შრომაში იტანჯება, დღე და ღამე გაჭირვებას ებრძვიან. ესენი სველს ოთახში ღებებიან ნესტისაგან; ზამთარში სიცივე-ყინვა ჰკლავთ და ზაფხულში სიცხე და ათასი სხვა ბუნების მოვლენანი, უმეტესი ნაწილი შეუძლებლობისა გამო უცოლშვილოდ რჩებიან, ზოგი კი ცოლშვილობას ეკიდება, მაგრამ არც ერთნი არიან სიკეთეში და არც მეორენი; ყველა ამათ წართმეული აქეთ თვისი პირადი

თავისუფლება, გამგეობა ზ მნიშვნელობა, ერთნი მსხვერპლად ხდებიან ათას ნაირ სნეულებისა, ესენი თავიანთ მშობლებს დიდის გამობა შეჩვენებით მოიგონებენ, მათ საფლავს და სულსაც კი აფურობებენ, რომ მათ ჩვენ სულ ვერაფერი ღვაწლი გაგვიწიესო, მათ ჩვენ არც გონებით მოგვამზადეს და არც აზროვნებითო.


ამ საწყლებს დიდათ სტკივათ გული, რომ მათ ისე გაატარეს თავიანთი ყვავილოვანი დრო. რომ ერთი სასიხარულო საქმეც ვერ ნახეს, რამდენს გულ-მოსაქლავათ ურჩება თვისი გრძობა რომ ის საბრალო უცოლშვილო დარჩა. საბოლოოდ, იქნება ცოლი რომ შემერთო, დღეს შვილებიც მყოლოდა; ისინი მომესწრებოდენ და მე ასეთს სილატაკეში არ ვიქნებოდი. მე წავაგე მთელი ჩემი სიცოცხლე ჩემის გაჭირვების მეოხებით, ეხლა ამიერ სოფელში ვკვდები უპატრონოდ. ერთი წყლის მომტანი არავინ მყავს, სანთლის შუქიც მენატრება, მე ვკვდები და ვწყევლი ყველაფერს; მაგრამ არა—ამისი პასუხის მგებელი სინიდიის წინ ის ერი გახდეს; რომელსაც ეს უსწორ მასწორი წესები დაუდგენიათ. ხანში შესული უცოლ-შვილო პირები ასე წყევლა-გმობით შორდებიან ამიერ სოფელს.

უნდა ითქვას რომ ცოლშვილიანებსაც ესევე დღე აღვათ. ეს ქვეყნის შვილნი ერთობ სასტიკათ იტვირთებოდენ თავიანთ სახლობისაგან; ამათი სახლობის მდგომარეობა ერთ სამწუხარო რასმე წარმოადგენდა, ამათ ადამიანური ცხოვრება წართმეული აქვთ. ესენი იჩაგრებიან პირველი დღიდანვე და მის მეოხებით ხშირად ბევრნიც ისპობიან კიდევ, ამათ საქმელს მშრალი პური შეადგენს, ისიც ხშირად არა აქვსთ, როგორც ჩვენში იცის ნამეტურ გურია-სამეგრელოში, სადაც ყველაფერი მაღალ წოდებებს საკუთრებას შეადგენს, სადაც ერთი პირუტყვის მსგავსად იკვებება სიმინდით და სადაც უმეტესი ნაწილი გლეხაკობისა მშრელია და ბოგანოთ არის ქცეული, რადგანაც მთელს დედამიწის ზურგზედ მხოლოდ ეს გურია-

სამეგრელოს და მასთან მთელი საქართველოს გლეხ-კაცობა არსებობს, რომელსაც თავის საკუთრებათ არაფერი აქვს, ყველაფერი შეძლებულ პირების საკუთრებას შეადგენს. ასეთ საწყალ პირთა ყმაწვილები პატარაობიდანვე ქარხნებში იგზავნებიან სამუშაოდ დედას ზე მამასთან; ასევე ატარებს ქარხნებში მთელ სიცოცხლეს. ამათ პატარა ყმაწვილები თავშიშველა და ფეხშიშველა დადიან უტანისამოსოდ რაის მეოხებით ცივდებიან და ბოლოს მათ ბუნება მუსრს აელეებს და სწყვეტავს.

ამათ მშობლებსაც ხშირათ ემართებათ ესა და მრავალი მათგანი კვდება კიდეც. მამა და დედა კვდებიან, მათ რჩებათ პატარა შვილები ოხრათ, უპატრონოთ და უსაშვლოდ; სიკვდილის დროს უძღურებს ცალკე სიკვდილის სენი სტანჯავს, თავიანთი გამოსალმება და ცალკე კიდე ის პირები, რომ მათ შთებათ მათსავე მზავს გლახ მდგომარეობაში მყოფი შვილები, ოხრად დატოვებულნი, რომელთაც ამ სოფლათ სრულიათ არაფერი გააჩნიათ. არამც თუ გააჩნიათ, არამედ ერთი სიტყვა და ნუგეშის მიმცემიც არაიან ყავდათ. ყოვლის მომაკვდავ მშობლის გულში ცრემლები იღვრება და საიდუმლოთ იტანჯება, რომ მას შვილები რჩებიან და შვილებს კი მათგან ერთი კვირის სარჩოც არ რჩებათ, ასე და ამგვარად რამდენიმე თაობა გადადის და იგი ყოველთვის ვალში და ვაგლახში იხრჩობიან.

იმ დროის სოფლის შეძლებულ მემამულეთ და ზურჯუაზის წყალობით ერთი დაიბადა დიდი სიღათაკე, გარყვნილება და სხვანი, საქმე იქამდის წავიდა, რომ უცოლშვილო ქალი და კაცთა მეოხებით წელიწადში რამდენიმე ასს ნაბიჭვრებს ჰოულობდენ ქუჩებში, ესენი ხდებიან იმ სახელმწიფოში, სადაც ზურჯუაზის ლუი ნაპალეონმა ფრთები შეასხა და სრული ყვავილოვანი ხანაც მოანიჭა. ესენი ხდებოდა იქ სადაც ლუი ნაპალეონმა სოფლის მემამულე თავად-აზნაურებს მეთვრამეტე საუკუნე დაუბრუნა და ბევრნაირი ძალა და უფლებანიც მია-



ნიქა. ლუი ბლანმა 1844 წელს გამოცა ერთი წიგნი, სადაც  
ეს საუბრობს იმის შესახებ, რომ რკინის გზები კერძო პირე-  
ბისაგან მართველობამ უნდა შეიძინოს, რომ მის მეოხებით  
დაიცვას ხელოსანი ხალხის ინტერესებია, თორემ კერძო სა-  
ზოგადოებანი მეტად ამდაბლებენ და სჩაგრავენ ხელოსან ხალ-  
ხსაო. ამის წინააღმდეგ იყო უკუღმართი, ტიერი, გიზო და  
სხვანი... 1871 წელს ესევე ჰაზრი წინ წასწია გაემბნტამ.. ამის  
წყალობით ერთმხრეს შეძლებულნი სტკებთან და მეორე მხარეს  
კი შეუძლონი წივიან შიმშილისაგან; ასეთი მოპყრობა და საქ-  
ციელი მეცხრამეტე საუკუნის დროს აღარ შეეფერება. დღეს  
ასეთი სურათები ჩვენ თვალ წინ აღარ უნდა ხდებოდეს, ჩვენ  
გვერდით, ჩვენ არ უნდა შევსცეთ ჩვენ თავს ნება, რომ რო-  
ცა ჩვენ ვხითხითებთ და ვიცინით, იმ დროს, ჩვენი ძმების  
კენესა და გოდება მღულარე ცრემლით განისმოდეს, ეს იქ-  
ნება გმობა იმ დიდის თანასწორებრივის მოძღვრების, რომ-  
ლის დროშაც მეთვრამეტე საუკუნეში იქმნა აღმართული.  
ამ თავისუფლების მძებნელთ გმირი სახელების პატივის სა-  
ცემლად ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ტანჯული ერი, მათ უნ-  
და დავებატრონოთ, დაახლოებით მეგობრობა გაუწიოთ და  
ბევრი რამე უნდა ვასწავლოთ და გავაგებინოთ როგორათაა  
მათ, ისევე მათ მართველ სახელმწიფო პირებსა.

ამ დროების საფრანგეთში დიდი ამბოხება იყო სა-  
ხელმწიფო და ერთა შორის, ბრძოლა, სისხლის დენა და მე-  
ტათ აოხრებულს სამწუხარო და მრავალ-ფეროვანს სურათს  
წარმოადგენს საფრანგეთის ერის ისტორიაში. ამ დროს ლუი-  
ბლანმა მოამზადა თავის მსოფლიო შრომა, რომელიც 1847 წ.  
გამოაშკარავა და 1848 წ. რეპლიუციის შემდეგ გამოაქვეყნა  
და ბოლოს დაბეჭდა კიდევ. ამ თხზულებით: ლუიბლანმა  
ფეხზე დააყენა მოძღვრება სოციალიზმისა. ამ შრომამ მას  
საზღაპრო ცნობები განუვრცო, იყენენ ისეთი პირნიც, სენ-  
სიმონისტები და ფურიერისტები, რომელნიც ამბობდენ, რომ  
სოციალიზმი მაინც და მაინც არ საქიროებს სახელმწიფოს

ცვლილებასო, მისთვის მონარხიასაც არა უშავს რა, თუ კი ეს მათ მოაურიგდება და მათი საწინააღმდეგო არა იქნება რაო. ამის წინააღმდეგი იყო ლუი ბლანი. ეს დიდის თავგამოდებით უმტკიცებდა მოუმზადებელ მუშებს, რომ სახელმწიფო წესების შეცვლას დიდი მნიშვნელობა აქვსო.

ლუი ბლანს წინადაც და შემდეგეც ისე არსად უჩნდებდენ წინააღმდეგნი, როგორც ინგლისში, ინგლიზის ბურჟუაზულმა მწერალმა ბრუმა ლუი ბლანს და ჟირონდიელთ ისტორიის დამწერს ლამარტინს ბევრი მტრობა დასწამა. ეს მწერვლი-აზობს, რომ ლუი ბლანი დიდის ბორტებით სავსე აყო. ამას სურდა, რომ 1848 წ. სისხლის ღვრა. 1794 წ. ბერათ სისხლოხანი და მხოცავი ყოფილიყო, ამიტომ გარბოდა ანგლიაშიო, რადგანაც რცხვენოდა თავის თანა მემამულეთ მოქალაქებისო. მაგრამ ეს ტყუილი არისო, ამობს ჯონ სტუარტ მილი თავის ერთ წერილში. ლუი ბლანის ასეთ დამნაშაობას გიზოსი და ტიერის მიმდევარნი ამტკიცებენო, სულ უბრალოთ კიცხავენ ამ მსოფლიო დრამის დიდებულს მოღვაწესო. ლუი ბლანის ყველა სოციალურ რეფორემბისადმი მიმართულს სიტყვებში ქრისტიანობის თანხმად მოძღვრების და ძმობის დაარსების ნატურის შეტი სხვა არა გამოისჭრიტებარაო. ამ წიგნში ლუი ბლანმა მეცნიერულის განმარტვებით განაფარცო თავის ეკონომიური თეორია, აქ რამე მიმტაცველ ჰაზროვნების სხივები სრულიად მოშორებულია და საოჯახო პირობები და საქმეები ხელშეუხებლათ არის დაცული, ეს იმას ფურიესა და კაბესავებ არ მოექცა და ამიტომ ლუი ბლანს ხალხის თვალში პატავი აუმაღლეს, თუმც ბევრნი ამის წინააღმდეგნი იყვნენ და ლუი ბლანს დიდს ბოროტებას და მტრობასა სწამებდნენ.

ამის დიდი მოკამათე იყო ეკონომიურის სწავლის მცოდნე ბ. ტომასი, ეს ამბობდა, რომ ლუი ბლანი მუშებში მექარხნების, ფარიკანტების ზიზღს სთესავსო, რომ მუშებმა ფაბრიკატები ამოსწყვიტონო, რადგანაც ფარიკანტები მუშების ოფლით არიან

გასუქებულილია. ამიტომ ლუი ბლანი შორს საგვარტომო ქარხნებიდამო, ითხოვდა რომ ლუი ბლანი დროებით დავაპატიმროთო, მუშა ხალხმა დაიწყო ყვირილი: იქით გადადგეს ტომასო, გაუმარჯოს ლუი ბლანსა, გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას. ხელზე დასმული გაიყვანეს. ამ დროს შეითქვენ ლუი ბლანის წინააღმდეგ ძალიან ბევრი მტრები, მათ გაიჩინეს მრავალი თანამომხრენი და მათის მეოხებით ლუი ბლანის, ბლანკის დღედრუ ლორენის დაკუწვას ფიქრობდენ, იმ გამოჩენილ ლედრუ ლორენის, ბლანკის და ლუი ბლანის, რომელთაც განუსაზღვრელი დავლება დასდეს არამც თუ მარტო საჟრანგეთს, არამედ მთელს ევროპის ერსაც. უნდა ვსთქვათ, რომ ლუი ბლანის ერთმა მტერთაგანმა ემილ ტელამ შეადგანა სახელოსნოების წესდება, რომელიც მინისტერს წარუდგინა. ეს შემდგენი ლუი ბლანზე ძრვიელ გადაკეთებული იყო, სძულდა, ამის წესები მაინც ერმა არ მიიღო; მასხარათ აიღეს, უარი ყვეს და იქით გადაადგდებინეს.

სწერენ, რომ ამ დროს, ლუი ბლანი ერთ სტაბაში ასოს ამწყობლათ იყოვო. თუმცა ლუი ბლანის მამა შეძლებული კაცი იყო, მაგრამ ლუი ბლანი კი მაინც ღარიბათ სცხოვრობდა, ნამეტურ პირველ წლებში, შემდეგ კი მან თავის ლიტერატურულის შრომით რამდენიმე ათასი ფრანკი შეიძინა, ამაზე მეტის შეძენაც შეეძლო, მაგრამ იგი არ ნდომობდა. ამ ნაწერის გამოჩენაც ლუი ბლანის ცხოვრებაში ერთ უმთავრეს მოვლენას შეადგენს, რადგანაც ეს ნაწერი მეტათ საყურადღებო რამ არის, საყურადღებოა მით უფრო, რადგანაც ლუი ბლანი შემდეგ დროს, უფრო დიდათ განვითარდა და ბევრ ნაირის გამოცდილებით წავიდა წინ. ამ წიგნით საუბრობს იგი: მუშები და ღარიბები მონებათ არიან გადაქცეულინი შემძლე მექარხნების და ვაჭრებისაგან, ამით მდიდრები მათში სთესავენ დაუძინებელ მტრობას, რაის გამო მდიდრებს შიში უნდა ჰქონდესთ ამისათვის, რომ ეს გაჭირვებული ხალხი მათ დღეს არ დაეცეს და ან ხვალ, ერთხელ კი იქნება რომ ილიჯ.

გაწყვეტილი ერი თავს აიწვეს ამ საგზობელი მწოველი ერის წინაღმდეგ, ძვირათ დაუჯდებათ როგორათაც თვით უსამართლო და უმართველო მდიდრებს, ისევე მართველობას.

ამიტომ ლუი ბლანი ურჩევს, მართველობა კანის აქტს, რომ ამათ ყურადღება მიიქციოსო, მართველობამ უნდა ჩაიგდოს საქრხანო საქმეები ხელში, ზოგიერთი საქონლის ვაჭრობა, მათ უნდა მიიღონ მუშები თვის მზრუნველობის ქვეშ, მართველობამ უნდა დანიშნოს მუშებისთვის კანონიერი მუშაობის გადასახადი, მართველობა უნდა შეადგენდეს ამ საქმის მთავარ ძარღვს, მართველობას მიზნად დემოკრატიული მიზანი უნდა ჰქონდესო. სახეში თვის სასარგებლოთ მუშა ერის დაცვა უნდა ჰქონდესთ მიღებულიო, მართველობა ამის მოვალეა მით უფრო რადგანაც ხალხს თავის ჰაზრში თითქმის გაკვეთილი და გაზნებირებული აქვს რომ ყოველი ჩვენი მზრუნველობის საქმე პირადპირ მართველობას შეეხებაო და ესენი უნდაო ზრუნავდენ ჩვენს საქმებზედაო. აქ ლუი ბლანი მტკიცეთ აღგანიმ ჰაზრს, რომ მართველობა უნდა დაეხმაროს უძლოურ ხალხსო. ლუი ბლანი ამით წინააღმდეგ წავიდა სახელმწიფო და ბურჟუაზიული ლიბერალურ ეკონომისტების მოძღვრებას ამას სახელიც აქვს. ანუ ქართულათ რომ ვსთქვად „ვისაც რა სურს, იმან ის გაკეთოსო“. ჩვენში მდიდარი წოდება ძლიერ აშაღობულია, თანამედროვე წესები მათ ამისთვის ხელსაც უწყობს, ამ შეძლებულ ხალხის დაბალი ხალხი ვერას ვახდებთან, ფული ვისაც აქვს, სახელმწიფო კანონდებულების მეოხებით მეფობელათ და ბატონად ის ცხადება, მუშა ხელიკი, რომელიც დღე და ღამე მუშაობს და ჯანს იკლებს, ისკი ამათ სხვრებლათ ხდება.

ამ საწყლებმა ბევრჯერ სცადეს — და მოიწადინეს თავის შეველა და უნდოდათ რომ თავიანთი შრომა ამ მყვლფეაგებისა გან დაეხსნათ, მაგრამ ეს მათ ვერ მახვრხეს, თუმცა ბევრჯერაც სცადეს და პატარ-პატარა ქარხნებიც დააფუძნეს, ამათ სურდათ თავიანთი ცხოვრების გაუმჯობესობა და სრულიად გასხლფეტა,

მაგრამ რამოუვიდათ ამ საწყლებს, რაც კი შეძლება ჰქონდათ, აქედამაც ცარიელები დარჩნენ და იზარალეს, რადგანაც მდიდრები ჯიბრში ჩაუდგნენ, რასაც მუშები რრ ფულად ჰყიდნენ, ის მდიდრებმა ნახევარ ფასად გახადეს, ამით რასაკვირველია შეძლებულ ვაჭრის თანხას იმდენი არა დააკლდებარა რომ მათისდიდს შეძლებას ამათ ეგნოს რამე, ამით იქნება ცოტა იზარალონ, მაგრამ რა კი იციან რომ თავიანთ კაპიტალის მეოხებით მომავალი მათია, ამიტომ ესენი გულ არხეინათ ბრძანდებიან და რამდენიმე ფულს არ იშურებენ სხვების დასანთქმელად, გარდა ამისა ესენი ამ საქციელით ბევრს თავის მუშტრის გულსაც მოიგებენ. მოიმაღრიელებენ, რადგანაც აქ ამათ უფრო იფათ შეეძლებათ სყიდვა, ვინემც მოხელეებთან, ამის გამო ეს საწყლები ბევრს მასხარადაც ექნებათ აგედბული: რაც მათი საქმე არ არის, იმას ჰყიდებენ ხელსო.

ასე და ამ გვარად შემდეგ ისე ახერხებენ საქმეს რომ თვით ესევე პირნი უფარდებიან შეძლებულებს მონა მუშებათ, ამის შემდეგ ამათ იციან თავიანთი საქმე, ცალის მხრიდამ ესენი მუშა ხალხის ჯავრს ყრილობენ, მეორე მხრით აძვირებენ ყოველნაირ საქონელს, ხალხი ამაზე უკმაყოფილებას აცხადებს, მაგრამ ვერაფერს აწყობს, რადგანაც ყველა ამ პირებს ერთმანეთში პირობა აქვსთ შეკრული და რაც უნდათ იმას ჩადიან. ამბობენ მაზანდამ აიწიაო, მუშა ხელი გაძვირდაო, ამით მართლულობენ თავს და მის საშუალებით იგებენ არამც თუ იმას რაც მათ სხვებს მისცეს, ანიავების დროს დახარჯეს, და წააგეს, არამედ ორჯერ ამაზედ მეტსაც და იმას გარდა სხვაფრივაც იჭერენ ძალასხელში და იჭერენ ისე რომ სხვებს მოძრაობის ძალაც აღარ აქვსთ. აი ეს შესძლებია თურმე შეძლებულთ ერის თავისუფალ კონკურენციას. საწყალ კაცს, რომელსაც არც მიწა აქვს, არც სახლი, არც რამ სხვა საკუთრება და თუნდ ფული, ამ საწყალს თავის საკუთრებათ ერთი შრომა აქვს, ამით ცხოვრებს და სკოცხლობს იგი, მაგრამ ამაშიაც მას უზნდება კონკურენტი, შეძლებული პირი. ეს სჯობნის

მას, ეს მიწათან ასწორებს ამ საწყალს პირს, რადგანაც ამას არა ფრის ძალა აქვს, დღიური საზღო კი სასტიკათ აწუხებს, ერთის სიტყვით უნდა ითქვას, რომ ეს თავისუფალ კონკურენცია არის მუშა ხალხის დამლუბავი და შეუბრალებელად მიწილამ აღმგველი.

ლუი ბლანის ეს შენიშვნა თავისუფალ კონკურენტის წინააღმდეგ ბევრის ეკონომისტის გახდა საყურადღებოთ და ბევრმაც სულაც ირ შიამცია ყურადღება, ეს უმნიშვნელოთ ჩათვალეს.

ერთ მდიდარს პირს უნდა ერთი მუშა, ამასთან მოდის სამი მუშა. მდიდარი ერთს ჰკითხავს:

შენ რამდენს ითხოვ შენს შრომაში?

სამი ფრანკი: მე ცოლი და შვილები მყავსო.—

კარგი, შენა? ჰკითხავს მეორე მუშას—ორ-ნახევარი ფრანკი: მოუჭრის ეს, მე ცოლი მყავს, მხოლოთ შვილები არა მყავს, თქვენა? ჰკითხავს მესამეს-მე მეყოფა ორი ფრანკი. მე თავისუფალი ვარ. გარემოების მეოხებით საქმე მესამეს რჩება, ორნი კი რჩებიან მშვიდრები, ბოგანოთ, იქნება ამის მეოხებით ესენი მშვიდრებიც დაიხოცნენ, ჯანდაბას მათი თავი, დაიხოცნენ რა. ასე ცალ-ცალკე ყოფნა მუშებს დაღუპავს, ესენი ვერას შესძლებენ და მათ საერთოდ დაცემა და ანიაგება მოეღოსთ. იქნება ქურდობა დაიწყონ და კაცის კვლა! ამის ნუ გეშინიათ, ნუ გეფიქრებათ, ჩვენ ჟანდარები და ციხეები გვაქვს, დამხრჩობელნი და სახრჩობლანი, თავის საქრელიც, მეორე ალაგას ამბობს ლუი ბლანი რაც შეხება გამარჯვებულ მუშებს ეს მხოლოდ მცირე ხნის განმავლობაში დღესასწაულობს, რადგანაც მერე მოდის მეოთხე მუშა, უფრო ჯანიანი, რომელსაც უფრო ცოტა შეუძლიან. ჰამოს და სვას, ერთ დღესაც იმარხულებს და ამის მეოხებით უფრო ცოტა მოუხდება ხარჯი, ვინემც პირველს, ეს უფრო იაფად დგება და მესამე მუშას კი ითხოვენ საქმიდამ, ამის მეოხების გამო იბადება სრულიად ახალი მოდგმის ლატაკი ერი, ეს გაჭირებულ-

ლნი მთელ დასებათ დადიან ერთად და მთელს სიკოცხლეს დიდს გაქირვებაში ატარებდენ, კაცმა რომ ნახოს ეს ყმაწილ კაცები, მაშინ ამ ყმაწვილების დანახვა მას ესიამოვნება, რადგანაც მათ სახეში იგი ამოიკთხავს სამოქალაქო მოძრაობის დიდს სულოვნებას, ყველა მათობას, მათ სახეს და საქმეს ინატრებს, მაგრამ თუ კაცი დაუახლოვდა, იგინი თავიანთ შინაგან განსაკუთრებით ცხოვრებით გაიცნო, მაშინ მათში იგი ჰპოვებს დიდს გულის მოსაკლავს სურათებს და სულის შემხუთავს წუთებს.

ნუ თუ შესაბრაღისი და დასანანი არ არიან ეს მშრომელი კაცები? რომ ასე უწყალოთ იღუბებიან იმ პირებისგან, რომელთაც მუცელი პირის გემოსაგან ვაღორებიან; მათ სურვილს ზომა მოსპობია და სიმდიდრესაც ზომა არა აქვს, ასეთი უძლოურების დამცველი დესპოტიური განათლების ძალი სწორეთ დასანაქუქებელია, დასაქცევი და ასაკლები, რომ ამ უსამართლობას ფესვი-ძირი მოეთხაროს. ასეთი ჰაზროვნებას ადგა ეს უმაღლესი ლოღიკის მექანიკი საერო, ანუ მუშების უდიდესი მასწავლებელი და ამის მოძღვრებით დიდება ქვეყნისა და ერისა მდგომარებას თანასწორებრივ თავისუფლებაში, ძმობაში, სინდისში, ზნეობაში და თავისუფალ თანასწორ მეცნიერებაში, რომელსაც უწყალოთ კლავს და მიწასთან ასწორებს თავად აზნურებისაგან პატივსაცემ და სათაყვანებლათ ვამხდართ ბორკილი, — ბორკილი მონების, უსამართლობის დაცვის, წოდების პატივისცემის, სულის შეხუთვის და სხვების. ეს უნდა დაეცეს უსიკვდილოთ, ეს ბორკილი უნდა დაინტერესს, რომ მის საშეგულებით წოდებრივ დედა აზრებს დაღეწვა და მოსპობა მიეცეს, მათი დაცემა თავად აზრურობის ნამუსის აღდგენას შეადგენს, სინდისის გაპატიოსნებას და დიდებულ თანასწორების წინაშე მუხლის მოდრეკას, ეს მით ყფრო, რომ ამ წოდების სამსახური პირდაპირ მიმართულია სამხედრო მოძრაობის სიყვარულისაკენ და თოფებისა და ხმლების ტრფილისკენ, რომელიც უწყალოთ ლახვარს, ავერანებს სამოქა

ლაქო სულოვნების აღორძინებას. ეს წოდება ბევრად უსულოვნოა, ვინეც სამოქალაქო ბურჟაზია.

ბურჟაზია—ლიბერალობს, მათში სამოქალაქო ძალოვნება და დიდ სულოვნება უფრო იღვიძებს, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ მცირეთ სიყალბე და ცრუ ლიბერალიზმის მზგავსიც ხოლომე. თავად აზნაურებს კი პირდაპირ მონარხიული ჰაზროვნების სხივები ჰფლომს, ესენი იმას ემორჩილებიან, მკაცრად ექვემდებარებიან და მასვე იცავენ, იცავენ მიტომ, რადგანაც სახელმწიფოც მათ იცავსო, პატრონობს და მფარველობას უწევს, ბანკებს უხსნის, შვილების სწავლისთვის უპირატესობას ანიჭებს, შეძლებას აძლევს ლ სხვანი. ამათ იციან, რომ თუ ერთმანეთს დაეხმარებიან და ერთის შეერთებულის პირობით და მეგობრობით იქნებიან, მაშინ ესენი თავიანთ სარგებლობას კარგათ დაიცავენ. სამარცხვი-  
ნო კი—უნდა იყოს ესაო.

ერთ წერილში სჯის ლუი ბლანი: ასეთი საქმეების მიმდევარი ერთ რას უნდა ჰგავდეს, არაფერს! განათლებით ის დაბლადგას, მეცნიერების შეთვისების დრო მას არა აქვს, იგინი ემსგავსებიან ველურ ნადირს, რომელიც ხშირად ბუნების მეოხებით რაშე სენისაგან იელიტებიან და მიწაზე ჰყრიან, ვიდრე მათი სხეული დალპება ლ გაიხრწნება. ეს არის მის სპეტაკი იდეალიზმი, ეს არს მისი რიალიზმი. ასეთი წესების შესახებ რენანიც ამ ჰაზრისა არის ერთ წერილში. დღევანდელის ჩვენის ძალოვნებისათვის ეს უნდა გახდეს საყურადღებო საგნათ, რომ მან ძირი მოუთხაროს წოდებრივს კაპიტალურს ცრუ ლიბერალიზმს. დღევანდელი განვითარებისათვის ეს უნდა გახდეს საბრძოლ საგნათ ლ იმ დიდებულის თანასწორობის მოძღვრებისთვის, რომელიც ბევრის წამების, ტანჯვის შემდეგ ფეხზედ წამოდგა და მეთვრამეტე საუკუნის მოაზრეთა მოღვაწეობით დიდებულ თანასწორებრივს დროშათ აღიმართა.

თავისუფლება და თანასწორობა! ეს უნდა იყოს ცნება და მეცნიერული ნიშანი ჩვენის ახლის თაობისა, ამისთვის.

უნდა ეწვალოს თანამედროვე ძალა, მეცნიერები და სხვანი, რომ მან საწყალ დაჩაგრულს ერს თავისუფლებასთან ერთად თანასწორობაც მიანიჭოს. ცარიელ თავისუფლებას რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, თუ საწყალი კაცი ისევ ღატაკად დარჩება, როგორც ის აქამდის არის. განაგრძობს:— „სუვევლამ მჭევრმეტყველ ჰიკებმა, რომელნიც ხალხის თავის უფლებისათვის მშვენიერ სიტყვებს ისვრიან და რომელნიც მართულ არიან სხვა და სხვა მეცნიერებათა ცნობების მოყვანით, ძმობის, დახმარების და სხვების, ამით სურთ რომ ერს თავისუფლება მოუზოფონ, და ეს თავისუფლება როგორი იქნება, მისის საშვალებით დაიწყება: თუ არა მოსპობა იმ უთანასწორობის სათავისა, რომელიც დღეს არსებობს, თუ არა, ამასთან მათ საქმეს არ აქვსთ, ამის განსაზღვრა და გულ მართალი სუბარმი მიტომ არის საჭირო, რომ გავრცელდეს დაბალსა და საწყალ ერში სწორე მსჯელობა, რადგანც დღეს, ამ მეცნიერებებში, მრავალი გამაჩინილი მდიდარ გმირები ამ საუკუნის რიალურ მოძრაობის კანში გახვეულან. ეველა მათგანი დიდი მომხრეა და თანამგრძობი საწყალი ხალხისა, იმ ხალხისა, რომელნიც ერთი მტკაველი უმიწობისგან საბრადოდ იტანჯებიან და სტკნებიან. ამით ეოველთვის ჰიარზე აკვრათ თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, საწყლების დახმარება, დღე და დამე ეველგან და ეოველთვის ესენი თავიანთ თავებს თავიანთის საწყლის ერის დამტველად აღიარებენ. მაგრამ იმავე დროს, თვით იგინივე არიან მტრები ამათი, ძირის გამთხრელი, მთლად ესენი თავიანთვის მოქმედებით პირდაპირ მათ სამტრო არსებას შეიადგენს, ესენი მათ წყნარად ვნებენ. ესენი ისე წყნარად ასწორებენ მიწასთან, ამას საწყლები ვერც კი ამჩნევენ, ესენი მათვის სულ კერძო, უცხო უფნებელ პირებათ შეებიან.“

მაგრამ ვისაც ცოდნა და ფხიზელი თვალი აქვს, ისნათლად დარწმუნდება ამაში, რომ ყველა ამ უბედურების მიზეზნი ის პირნი ბრძანდებიან, რომელთაც ტანზე თანამედროვე რიალიზმის ქურქი წამოაუსხავთ, ოსტატური ლიბერალური ფრაზების რახარუხი შეუსწავლიათ და მის მეოხებით თავიანთ

თავებიც თავის მონების წინაშე პატიოსან კაცებათ დაუხატიათ. ქეშმარიტად, რომ ამას კაი მოხერხება და ოსტატობა უნდა. ამ შრომის გამოქვეყნების შემდეგ ლუი ბლანს მრავალ პირებმა დაუწყეს პატივისცემა და დიდება, მის პატივის მცემელთ დაიწყეს ლიუ ბლანის აზროვნების თანახმად გაზეთის გამოცემა, ამგაზეთის უმთავრესი საგანი პაუპერიზმის მოსპობა იყო. ამ გაზეთში სწერდნენ, რომ მუშებს მართველობისაგან დახმარებ აუნდა მიცესო, ასოციაციები გაუკეთესო და სხვანი, ლუი ბლანს თავის „შრომის დარსების“ შედგენის დროს დიდათ ეთანხმებოდა გამოჩენილი მებნაკი ალფიერი, საწყალი ერის ბედნიერების მნატვრელი, იმ კამისიაზე სადაც ლუი ბლანი და ალიფერი იყვნენ, აქ უნდაღდათ, რომ მუშა ხალხის საქმის ვითარება თეორიულათ. გარდაეწყვიტათ. აქ დაესწრნენ 250 დეპუტატი ყველა ხელობისა.

ყოველი წევრი ნაციონალურის გვარდიის არის არჩეული და ამრჩევი პირი, ჯამაგირი დებუტატებს რომელნიც ასრულებენ საზოგადო თანამდებობას. გაუქმება კაროლის და არისტოკრატის განკარგულების თანხმად მემკვიდრეობის უფლებისა. ადმინისტრაციული რეფორმა. დაიმედება ყველასი სხვა და სხვა ბოროტ განზრახველობისგან; საკუთრების პატივისცემა, უფლების დაიმედება შრომაზე; შრომა და დაცვა ერისა, კავშირი და ძმური ასოციაცია ქარგალთა და ოსტატს შორის. სრული თანასწორება შვილების აღზრდაში, სასოფლო და სამოქალაქო სკოლები, ჯიბრისა და ქიშპის გაუქმება. სრული უფლება სარწმუნოებისა, სრული დამოუკიდებლობის დაცვა ყველა უძღურის ქალებისა და ყმაწვილების. მორიგება ხალხთა შორის, ომის გაუქმება, სადაც ხალხი ზარბაზნის მსხვერპლათ არის გამხდარი. დამოუკიდებლობა და სრული თავის უფლება ყველა გვარტომობათა. საფრანგეთი დამცველია უძღური ხალხის უფლების წესწყობილობის, დამფუძნებელი თავისუფლების, საზოგადო ქობისა.

თქვენ დაწყნარდით და საქმე გაგიკეთდებათ, საგვარტომო ქარხნები დაარსდება და მასთან ბანკებიცო, ამის გამო დროებითი მთავრობამ სამი კამისია შეადგინა, რომელთაც მიანდევს მუშა ერის დასახმარებელი ქარხნების და ბანკების წესდების შედგენა. ერთ კომისის წევრათ პრუდონი ითვლებოდა და მეორესი, ლუკსენბურგის ლუი ბლანი. ამათ შეადგინეს წესდებანი, შედგენეს შემდეგ მართველობამ ლუი ბლანის წესდება მოიწონა, პრუდონის დააბრუნეს, ამაზე პრუდონი გაცეცხლდა, ამან და სხვებმა ლუი ბლანს ლალატი დასწამეს, პრუდონმა პოლემიკა დაიწყო, ლუი ბლანის წესდების უვარგისობას ამტკიცებდა. ვერას გააწყობთ მაგითიო, ეგ მთავრობის მომხრეაო. ამან ლუი ბლანი მეორეთ გაიწვია პოლემიკაში, მიგრამ ლუი ბლანი არ გავიდა. მართველობის დახმარება

საბოლოოდ ბოროტებას დასთესო, ამბობდა პრუდონი, ლუი ბლანი კი მართელობას ავალებდა, რომ თქვენ თუ გაქირვებულ ხალხს დახმარება არ მიეცით, თუთქვენათ შეძლებული ერთი დაბალს სმწყალს ერს შესჰამსო. პრუდონი ამბობდა, მაშასადამე, ოლონდ კი მუშა საწყალ ერს დახმარება მიეცესო და დახმარების მიმცემი ვინც უნდა იყოსო, გინდა მონარქიაო, მაშინ ამის არსებობა უნდა ხელშეუხებელი დარჩესო, რადგანაც მათ მისცეს დახმარებაო, სხვა ფრიც თუნდ ესენი რომ ერს პირში სულს უხუთავდენ ამათ წინააღმდეგ მაინც არავინ უნდა წავიდესო.

გაუმარჯოს თქვენს ჰაზრებს, თქვენს ლოლიკას, თქვენს რეაქციასო, ლუი ბლანი კი სულ სხვა ჰაზრისა იყო და ეს მკაცრად ეძიებოდა სახელმწიფო სოციალიზმს. ლუი ბლანი აი როგორ საზღვრავს თავის წესდებაში, რომელიც 1848 წ. დაბეჭდა:— „ის პინი, რომელნიც დღეს გაჭირებულნი არიან და ისინი ჩვენ გვეტყვიან, რომ სახელმწიფომ იკისრეს ჩვენი ქარხნები და ჩვენც დაგვაბინასო. ჩვენ მიუგებთ სახელმწიფო ამასე თანახმა არის და თქვენც საკმარისად იქნებით დაჯილდოვებულნი. მხოლოდ ეს მოგეცემათ თქვენ მომავალის თანხიდან და არა დღევანდელის ნაკლ თანხიდანო, მართელობა თქვენ მოგცემთ ნდობას, დასცველთ თქვენის ქარხნების, ამ ნდობის საშუალებით თქვენ მიიღებთ ვალს და მის შემცირებას, თქვენ დასხნით ქარხნებს, ამის შემოსავლიდამ ერთი მეათხედი დაინიშნება ქარხნის თავნის შესადგენათ, ერთი მეათხედი—თავნის დასაფუძნებლად, ერთი მეათხედი დავრდამილთა, მოხუცებულთა, ავადმყოფთა და სხვა, ერთ მეათხედს. მუშები იყოფენ ერთმანეთში და ერთი მეათხედიც სთავდარიგო თანხის დასაარსებლათ“.

ასე და ამ გვარად უნდა დაარსდეს ფაბრიკული ასოციაციები, ასოციაციები უნდა გაგძლდეს ყველა ფაბრიკებში, ასეთივე მრეწველობა, რომლის საშუალებითაც მათში უნდა დაარსდეს პატიოსნური ნდობა. ამისათვის კმარა ორი პირობა განისაზღვროს: ფასი ნაწარმოებისა, მეორე: სახეში მიღებულ

იქმნეს მდგომარეობა სამრეწველო პირობების, განისაზღვროს ნება მიცემულ შესავლის აღნიშნულ ფასზე მეტისა, ასე და ამ გვარად მიედწევა საქმე და კონკურენციას ნება არ მიეცემა. ყველა ქარხნებში დაარსდება მუშების ერთნაირი დღიური ფასი, რიცხვით და ზომით კი არა ერთი, არამედ საქმის თვისებით და ღირსებით, ამით დააფუძნებთ ხეირიან წესებს, რევოლიუციის უშიშროებას. ამისთვის საჭიროა ორი პირობა განისაზღვროს, ყოველი ნაწარმოების შესავალი და ესენი განაწილდეს მუშებში. გარდა ამისა ძირითადი სათადარიგო თანხისთვის კი, ყველგან უნდა რჩებოდეს სათადარიგო თანხები, ასე რომ ერთ მხრით მუშას, რომ არ ექნეს კარგი შესავალი, მას უნდა დაეხმაროს იმ ქარხნის ასოციაციის ბანკი, რომელსაც კარგი შესავალი ჰქონდა. ამის განხორციელებას ფიქრობდა ლუი ბლანი მართველობისაგან და მას სურდა, რომ ეს წინ წასულიყო მართველობის მეოხებით და ყველას პატრონათ და მფარველათ მართველობა გამოსულიყო.

ამის გარეშე ეს მეტის გაოცებით ჰყოფს ზუარს ყოველის ძალადობის და იერიშით აღებას და აკლებ-დაკლებას სხვათა და სხვათა ქონებათ, რომლითაც სწადიანთ სილატაკის მოსპობა და თანასწორული ძმობის დაარსებაო, ის ვინც ცარცვაში ხედავს სილატაკის მოსპობის თანასწორობის დაარსებასო, ის იქნება უკანასკნელი გიჟი, ანუ საძაგელი, ესევე იყო პასუხათ დაწერილი ტიერის წინააღმდეგ, ზოგიერთი ლუი ბლანის ამ წესდებაში ახალს არაფერს ხედვენ, ზოგი ლუი ბლანის და მის წესდებას ოვენის მიმბაძავათ სთვლიან, უნდა ვსთქვათ, რომ ლუი ბლანს თავის წესდებაში არსად ერთი ცნობა, ჰზრიც არ აქვს დაცული, რომ ის ეკუთვნოდეს კომუნისტურ მოძღვრებას, თითქოს იმ დროს იგი კომუნისტებს არც კი ჰკუთნებია, ამას კომუნის ჰაზროვნება და დედა ჰაზრები ჯერ უღირსად მიაჩნდა რადგანაც ამ მოძღვრების თანხმად საქმე ვერა გაკეთდა რაო. ალბად მისი ვაკეთება.

განხორციელება ყოვლად შეუძლებელიც არისო, თორემ ავერ-  
საუკუნეზე მეტია, რაც კომუნელთა ბრძოლა მოსჩანს, მაგრამ  
საქმე კი განხორციელებაში ვერ მოჰყავთ, ერთი სიტყვით  
ყველა მოძღვრება და მის დედა პაზრები უნაყოფოდ უნდა  
ჩავთვალოთ, რომლის თანხმათაც ცხოვრებაში არა კეთდება-  
რა, არაფერი ფუძნდება! ასე ფიქრობდა ეს, პრუდონი კი წი-  
ნააღმდეგი იყო ამისა.

ეს ამბობდა, დღეს არ იქნა, ამიტომ ხვალ იქნებაო.  
ლუი ბლანის წესდების თანხმად მათ შეადგინეს საგვარტომო-  
ქარხნებს და გამგეთ თვით ლუი ბლანი დანიშნეს. შერის-  
სიტყვით კი სხვა პირი დაუნიშნავთ და არა ლუი ბლანიო-  
უმფროს გამგეთ ბ. მარტი ყოფილა, რომელსაც თავის ამხანაგი  
ლუი ბლანი ძრიელ ეჯავრებოდა. აქ ლუი ბლანი მუშაობი-  
საგან თითქმის ჯანილამ იცლებოდა. საუბედუროდ საქმე ცუ-  
დათ წაყვინდა. ამის გამო ლუი ბლანს ბევრი მტრები გაუჩნდნენ,  
ავრცელებდნენ, რომ ლუი ბლანი მოკლეს ლუკსენბურგშიო.  
ლუი ბლანი კი არ მოეკლათ მის მოწინააღმდეგეებს, არამედ  
შეურაცხყოფა მიეყენებიათ, სისხლში მოესვარათ, ტანსაცმე-  
ლი დაეხიათ. ამაზე ასტყდა მუშების და სხვების შორის დიდი  
ბრძოლა, ლუი ბლანი ჩაერია მუშებში და მალე დააწყინარა,  
ეს დიდათ დაიქანცა, მალე სახლში წაიყვანეს, რესპუბლიკის  
მომხრენი აირივნენ, მაგრამ მალე დაწყინარდნენ. საქმე დამ-  
შვიდდა. მეშვიდე თვეს ქარხნები დახურეს. მუშებს 30 ფანკი  
დახმარება მისცეს და მით დააბოლოოვეს საქმე.

ამის შემდეგ ცოტა არ იყოს ლუი ბლანმა ხელი აღუ-  
მართა სოციალისტებს და კომუნისტებს. დაუწყა თქმა: „ჩვენ  
შრეტყუდითო“. ამის გამო მას დროებითი მთავრობის ხო-  
გიერთი წევრნი გადაეკიდნენ, ნამეტურ ჟურნლ ფავრი მის-  
სასტიკად დასჯას თხოულობდა, ჟურნლ ფავრს მიეკედლენ  
ძალიან ბევრი გამგენი, ისე უცბათ, ისე მალე ხელ მეორეთ  
შეიარაღდა მთელი საფრანგეთი, გაიმართა ჩხუბი, სისხლის  
ღვრა, ხოცვა, კამათობა და დიდი უბედურებანი. კაცი ვერ

მოსთვლის; ამის მეოხებით ლუი ბლანის მტრებმა იღვესასა  
წაჟღეს, ლუი ფილიპის მომხრეებმა ფავი წამოყვეს, ნაპო-  
ლეონი ერის დაწყნარებაში ჩაერია და სახელი აიმაღლა  
დაბოლო ხალხში თავი ისახელა. ამას აქა-იქ სადილებზე ჩუმად  
ახსენებდენ: ჭაუმარჯოს ნაპოლეონს, გაუმარჯოს იმპერა-  
ტორს, ეს მალე პრეზიდენტათ იქნა ამორჩეული, რადგანაც  
ყველაზე მეტი თეთრი კენჭი მიიღო. ლუი ბლანის საქმე  
საფრთხილო იყო. მას დაპატიმრებას უპირებდენ, დაპატიმრე-  
ბის რამეს თავის მეძებრებს უკვე ლონდონში გაექცა და მით  
უშველა თავს, ეს აქ დარჩა იმ დრომდის, ვიდრესაქმე გარკვე-  
და ჭაირჩა, შემდეგ მალე დაბრუნდა პარიჟში, მუშა ხალხი  
იხიობდა თვისკენ: აქ მან განაგრძო თავისთვის გაზეთის გა-  
მოცემა, გაზეთში დაიწყო ეკონომიური წერილების წერა,  
აქ იგი იცავდა თავის ეკონომიურს დედა აზრებს.  
მან განატარა ჩვენის საგვარტომო ქარხნების მოსპო-  
ბითარ შეიძლება ვიგულისხმობთ, რომ ვითომც ჩემი წესდება  
და ეკონომიური მოძღვრებანი უმნიშვნელონი იყვნენ. ფურ-  
ტუროს კედლებზე აგებულნი, ამას მით უფრო ამბობდა,  
რადგანაც დროებითი მართველობამ განძრახ დააყენა საქმე  
ისეო, რომ მის საშვალეობით ხალხისთვის დაენახებინა რომ  
ასეთი წესდება და საზოგადოთ ლუი ბლანი არაფერია, იგი  
ვერც ხალხს უშველის რამეს და მართველობასაც დასტვირ-  
თავსო, ამას გარდა ჩემი წესდება სად იყო, რომ მართველო-  
ბა საგვარტომო ქარხნების დაფუძნებას აპირობდაო; მარვე-  
ლობამ ცუდათ დააყენა თავის საქმეო, პოლიტიკურის პაზ-  
როვნობის მეოხებით იგი რამდენიმე მილიონს ცუდათ მო-  
სიარულთ ხალხზე ხარჯავდაო. ამით ეგონათ სიკეთეს დავთე-  
სავთო, მაგრამ მათ ვერაფერი გააწყეს, საქმე ცუდათ წაუ-  
ვიდათ და მის შემდეგ მე დამიწყეს კიცხვა, გმობა და შეჩვე-  
ნებაო, რომ ეს სულ ლუი ბლანის ბრალიაო. გამაგებინა ნერ-  
ტა ჩემი ბრალი რაშია. მე რა წავახდინე და რა დავაშავე,  
ორჯერ ჩემი მოყვლაც მოინდომეს, მაგრამ ვერა გააწყეს რაო

და მუშა ხელი კი მაინც წინააღმდეგ წავიდა, თავის სურვილით მართველობას წინ აღუდგაო, ეს საგვარტომო ქარხნები დროებითი მართველობის უხეირო გამგეობით დაიშალა და არა დაარსებულის საქმეების წესების დედა ჰაზრების უხეირობითო, ასმენდა ბურჟუაზიულს ეკონომისტებს.

ამ დროს აქ ხელოსანმა ხალხმა მეტათ აიწია თავი, ამათ აღმართეს კომუნის დროშა, დროშა თავისუფლების, ამას მოჰყვა მუშა ხალხის სიმღერა, რომელიც 1848 წ. სიმღერათ არის ცნობილი, ესენი ყვიროდენ, „ჩვენ მშვიდრები ვიხოცებითო“. ლუი ბლანმა დააწყნარა, დაწყნარდით და ყველაფერი იქნებაო. აქ უცბათ შესდგა სამი საზოგადოება; „კომუნარევოლიუციონერების“, ამის მოთავეთ გამოჩენილი ფელიქს პია იყო, „მეორე რევოლიუციონერების დასი“ ამის მოთავეთ ლედრუ ლორენი. მესამე ცხარე დამოუკიდებელი და უფრო სოციალიზმის სწვლის წრე“ სხვა და სხვა მიზნების და საქიროების გამო ლუი ბლანი ამთავან შორს იდგა. ეს ირიცხებოდა „პარიჟის კომუნელთა“ დასის წევრათ. და არა რევოლიუციონერათ. ამ საზოგადოებათა არსებობამ 1851 წლამდის გასტანა. ამ წელს კი იგინი მოისპენ, რადგანაც საფრანგეთში სახემწიფო ტახტი აღორეინდა და ნაპოლეონ მესამემ ყველაფერი დასთურგნა, ყველაფერი გააუქმა თავის შპავის ქვეშ.

ლუი ბლანი წინააღმდეგ გახდა ბევრის ცხარე დემოკრატების, რომლებიც თხოულობდენ, რომ პრეზიდენტის არჩევა, მთელის ერის ხმით უნდა იქმნესო, ამან დაიწყო წერა, რომ ეს საქმე მეტათ ძნელი და დასაღუპვი რამ არისო. ესეთი ერის საჩუქარი დაბალ ერს ინტრეგების ბრმა მოწად ხდისო. ბრმა თაყვანის-მცემლათ, რა საშვალეებით და ოსტატობით შთავარდა ნაპოლეონი პრეზიდენტის ტახტზეო, ამისთვის მას დიდი რამ ცოდნა არა ჰქონდა, მხოლოდ მისი სახელი იყო გავრცელებული რამოდენიმე მუშა სოფლის გლეხ ხალხში და ამან მათ სიბრიყვით იშოვნა ერიო.

ასევე მოიქცა თურმე უმაღლესი პალატა, რომელმაც მხენთ შეიმუშავა კონსტიტუციის ზოგნერთი მუხლები და ამ კონსტიტუციის მეოხებით ყველა კაცს მიანიჭა გზა და უფლება დიქტატურისაკენო, აქ ეს წინააღმდეგია თვით პრეზიდენტის, პრეზიდენტის მოქმედებისათვის ერთი წელიწადიც კმარა, რომ მან არაფერი ხრიკი ითამაშოსო, ჩვენში კი ოთხი წლით ირჩევენ კონსტიტუციის ძალით და მიტომაც ხდება, რომ სახემწიფო ტახტის ასამართავათ 1848 წ. შემდეგ ნაპოლეონს სამი წელიწადიც ეყოვო. სამწუხაროა, რომ პოლიტიკური გმირები არ რწმუნდებიან ამაშიო.

სოციალ დემოკრატებს ამის გაგება მიტომ არ უნდათ, რადგანაც ესენი ფიქრობენ, რომ ჩვენ ამით თანასწორობის მოსათენათ ერში დასაწყის შევიტანთო, ამას კი არ ფიქრობდენ, თუ ამას ხვალ და ზეგ რა მოჰყვებოდა, ეს უმტკიცებდა მათ, რომ ასეთი ხმის გაცემა თქვენთვის დიდ დამნაშაგობას შეადგენს, გონება გაუხსნელი ერი მტერია თავის თავისო, ისინი ხშირათ ჩადიან ისეთ რამეებს, რომლის მნიშვნელობა მათ არ ესმით, რომლის შედეგი და ვნება მათ არ იციან, მესვერპლენი არიან ამ შეძლებულ პირების, ვისაც მეტი შნო ჰქონდა სხვების ცარცვა-გლეჯისა, მამულების წართმევის და თავისთვის დაჩემების, რაც ბოროტება და უსამართლობა არსებობს ყველა ამის ძალით ამ შავი გონება გაუხსნელი მუშა ხალხის მოქმედება და ხმა შეიძლება ჩაითვალოს. ესენი იკაგებენ ყველა ამ უსამართლობას, ესენი უმაგრებენ მას ფესვებს, ამათის სიბრიყვით არსდება ყველგან ათასნაირი ბოროტება და სისაძაგლე, ესენი უსულო არსებას წარმოადგენენ, ჯარში უბრალო ნომერს, ამათ რომ თავიანთ თავის პატივისცემა იცოდენ, მაშინ მსხვერპლათ არ გახდებიან სამხედრო ძალოვნების, ესენი ხომ სახემწიფო ტახტის ერთგულების გამო ფიცსაც არ მისცემდენ იმის შესახებ, რომ ჩვენ თქვენის ისეთი ერთგულები ვიქნებით, რომ ჩვენ ჩვენს თოფს თქვენის ბრძანებით თვით ჩვენს მშობლებს და ძმებსაც კი ვესვრითო.

ამ გონება გაუხსნელი ერის მეოხებით რამდენი ვნება მოსვლია, არამც თუ მარტოთ მათ, არამედ მთელ კაცობრიობასაც, ამას კაცი ვერ მოსთვლის, ასეთ გაუხსნელ გონებიან მონა ერს მოდი და ხმის უფლება მიე, თავის თავის გამოგეობა, რომ მის მეოხებით უფრო კარგათ დაისონ მტრები კისერზე, სისხლის ამომწოველი მდიდარი მემამულე, კაპიტალისტები და სოციალიზმის მომსპობნი სამხედრო ძალოვნების წარმომადგენნი. ამის შემდეგ ლუი ბლანმა პრეზიდენტის ამორჩევის გამო დაბეჭდა ერთი წიგნი, სადაც საუბრობს ფართოდ.

აქაც ხალხის ხმის მიცემაზე იღვწის კიდევ, ეს პრუდონს ეწინააღმდეგება, ასეთი ხმის მინიჭების უფლებით ხშირათ სამხედრო პირები სარგებლობენო და არა სამოქალაქოს სულონებით და რეალურის მეცნიერების დედა ჰაზრებით აღზრდილი სასიქადულო კაცებით, განა სანატრი არ არის ის, რომ ყოველი პირი თანასწორი იყოს ერთმანეთისა, განა საჭირო არ არის ის, რომ ყოველი სოფელი ხშირად და ღირსებით თანასწორი იყოს, განათლებულ ანუ რომელიმე ბურჟუა პირთან, რასაკვირველია, რომ ეს საჭიროა, მაგრამ რასა იქმს კაცი, როცა დღეს კიდევ უმეტეს ერის გონებითი განვითარების საქმე ისეთ გზაზე დგას, რომ აქ ძალაუზნებურათ კაცი წინააღმდეგ უნდა გახდეს საზოგადო ხმის მიცემზე, ამით ის კი არ იფიქროს მკითხველმა, რომ ვითომც ეს გამოჩენილი პირი წინააღმდეგი იყოს თანასწორობით ხმის მიცემისა, არა, ეს წინააღმდეგია ამისი მხოლოდ დროებითი და ისიც აი რისთვის.

ხმის უფლება ხშირად მიანიჭეს ერსო, მაგრამ ერმა ამით თავის თავს სარგებლობის მაგიერ ვნება მოუტანესო ვნება მოუტანეს იმიტომ, რადგანაც ამათ გონებითი განვითარება არ ჰქონდათ, ესენი მონებათ იყვნენ გამხდარნი თავიანთი მამათა პაპები წინაშე, ერთ რომელიმე სამხედრო პირს უფრო დიდ მნიშვნელობა ჰქონდა, ამათ ყოველთვის ქებით მოიხსენებდნენ.

ამათ ბლლიაქუნსაც, მის მეოხებით ერთ ხმას აძლევდა იმ კაცს, რომელიც მათი უკოდინარობით ხელმძღვანელობდა, ტახტს იღებდა, ზედ მეფედება. ასეთი პირი ან რასა შერება? მიჰყვება და ყველა თავისუფალ მოაზრებებს ცინეში სხამს, თავისუფალ გაფრთხილებს ჰკრძალავს, ბევრ მეცნიერს ენას სჭრიდა, მაღალ წოდებას ფრთებს ასხამდა და იმადრივლებდა, რომ მის მეოხებით საქმე გამაგრებული ჰქონიყო. დაბალ წოდებას, რომელიც მაც თავის უვიცობით დახმარება აღმოუჩინა, ამ პირს, ამათ კი ხელ ფეხს უკრავს და უარეს მონებით: მდგომარეობაში აგდებს, ამიტომ საჭიროა, რომ ხმის მიცემა უნდა განისაზღვროს ისე, რომ ხმის ქონვის მიცემა მხოლოდ იმ პირს შეეძლოს, ვისაც ცოდნა და განვითარება ექნება, გაგება და გარჩევა, თუ ის რას ემსახურება, რას სცემს პატივს და ხმის რად თავის შეცდომების მეოხებით რის ზვარაკად ხდის თავის ცხოვრებას და სიცოცხლეს.

ამის დასამტკიცებლად მას ბევრი ცნობა მოჰყავს და სხვათა შორის უჩვენებს, თუ ნაპოლეონ იმპერატორი ამით როგორ ხელმძღვანელობდა, როგორ ატყუებდა ერს სამხედრო პატრიოტობის მეოხებით პრეზიდენტის ამორჩევის გამოც, ერის ხმის მინიჭების საქმე პალტისაგან სწორეთ ცუდი სამსახურიაო ერის სოციალური მდგომარეობის წინაშე. აქ ლუი ბლანი მოუთხრობს პალატას კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლებს და იმასაც უჩვენებს, თუ მათ რა კანონის ძალით შეუძლიანთ რომ ერის ხმის აცილებით თვით პალატამ ამოიჩინოს ხუთ დეპუტატთაგანი ერთი პირი საპრეზიდენტოთ. ეს თუ არ იქნება მაშინ ნაპოლეონისთანა კაცები ყოველთვის დიდს ხრიკებს ითამაშებენ დაბალ ერზეოც რადგანაც ლეგენდები ნაპოლეონის შესახებ მთელს საფრანგეთშია მოფენილი. რომელიც დაბალს ერში ცუდს შედეგებს იწვევსო, პალატას რაც უნდა ნაკლულევანება ჰქონდეს, მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი მაინც ნაპოლეონს არ ამოიჩინებს პალატის საპრეზიდენტოთ, ეს სულ უბრალოა ერის საქმეა, რომელიც ხში-

რად თავის უცოდინარობით ლესავს თავის მოსაკლავს და ყულის გამოსაქრელ დანასო.

მოხდა დიდი ალიაქოთი და შემთხვევა, ორლიანელების და ლეგიტიმისტების საშუალებით რეაქცია წინ წავიდა, საქმე აირ-დაირია. 15 მაის მომხდარ შემთხვევების გამო ლუი ბლანის სამართალში მიცემას ფიქრობდენ, ამას თხოულობდა ნამეტურ ჟულ-ფავრი. ამის გამო მოხდა კრება. კრებას უნდა გადაეწყვიტა ლუი ბლანის დასჯა, მაგრამ კრებამ ეს უარჰყო. პირველ ივლისს მოხდა საგვარტომო სამართველოს მოსამსახურე პირთ შესაკრებლათ ახალ გამგეს ამორჩევა. ამ კრებამ დაამტკიცა რომ პარიჟი რეაქციას თანბუგრძნობდა, რადგანაც აქ ამოირჩიეს მრავალი რეაქციონერები და მათ შორის ლუი ნაპოლეონიც, რომელიც მალე პრეზიდენტათ ტახტზედაც ასკუბდა, აქედამ იწყება ამის ბრწყინვალე ხანა. ბევრი რამ ითქვა, ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ ნაპოლეონმა 1851 წლის შემდეგ შინც მიაღწია თავის გულის წადილს, თავის გახელმწიფების შემდეგ ამან ის თქვა, რომ იმპერატორათ იგი მწერლობის ქადაგებითაც აღიარებულოყოს, ამან დაიწყო მწერლობა და გამოსცა „იული ცეზარის ისტორია“ ამით იმპერატორმა თავის თავი ნამდვილ მწერლად მიიღო, სხვებს კი რასაკვირველია ეცინებოდათ იმაზე, ამის შემდეგ ეს იმპერატორ ბატონი ბეჭდავდა წიგნებს და ხალხში ავრცელებდა. ასეთის წიგნებით მას სურდა რომ დაეცვა დემოკრატიული იმპერიის მიმართულება და თავის თავი მის მორჩილ მონათ ელიარებინა.

ამ თხზულების მეოხებით ლუი ბლანმა დასწერა ერთი თხზულება, რომელსაც რუსულათ „ЧѢМЪ СЛѢДУЕТЪ БЫТЬ ВЛАСТИ“? ეწოდება. აქ ლუი ბლანი ბევრს კითხვებს აძლევს ნაპოლეონს. ნეტა მას რისთვის სურს თავისი ძრიელი გამგეობა, ვის სასარგებლოთ და ვინ უნდა მიანიჭოს მას ეს სიძლიერეო? ესეთი მის გამგეობა იქნება მხოლოდ მთურგმნელი სხვა და სხვა კეთილ პატიოსან ძალოვნებისო, კაცმა რომ

შიაღწიოს ამას, საქმე იმაშია, რომ აგი ამაში ჩარჩეს. ნაპო-  
ლეონს სურს რომ იგი თავის საუკუნეზე მალლა დადგეს იდეი-  
თაო. იქნება ეს იდეია არის პასუხის მიმცემი საზოგადო ინ-  
ტერესების კითხვებისო? თუ ან სხვა რამე? რას შეიცავს ესაო?  
იქნება იმას, რომ ეს გამგე პირი უნდა დადგეს და დარჩეს  
საწყალი ერის გვარისკენო, რომელიც დაჩაგრულია დიდათ.  
ვისაც წართმეული აქვს ბევრი რამ, რომელიც დამდაბლებუ-  
ლია მცარცველების და მყვლეფაგებისგან, თუ ამან ხელი უნ-  
და აუწიოს და წაახლისოს ისეც უსამართლო ძალა, რომელ-  
საც ხელში უკავია უმეტესი ნაწილი საწყალი ერის სიცოცხ-  
ლის გასაღები, ანუ წინააღმდეგ იქნეს ესო, უნდა შენიშნოს,  
რომ ვერც ერთ ნაირ და ვერც მეორე ნაირი მოღვაწეობა  
ვერ დაუცავს კაცს თავის გამგეობას-ამბობს პ. მირტოვი

ლუი ბლანიც ამ იდეალიზმს ეკუთვნის, ეს მან საქმიანად  
დაამტკიცა და იგი მიტომაც იქმნა განდევნილი, ეს გამგეობის  
შეძენა ჰგავს იმას, ვისაც უფრო მეტი ხერხი ჰქონია სხვების  
ცარცვა წართმევის. ძალიან ძნელიც არის ის გაიცნოს კაცმა  
ხეირიანად; იგი როგორ უნდა დარჩეს გამგეთ, რადგანაც  
რაც ერთ პირს ამაღლებს და მას ხმას აძლევს, ის მიორესთვის  
დამღუპავი და დამქცევია, რამდენი მაგალითია, რომ სახემ-  
წიფო ტახტს ხემწიფე შეურყევლათ უტოვებს თავის შვილს,  
მაგრამ შვილს კი რამდენიმე ხნის მეფობის შემდეგ ხელიდამ  
ეცლება სახემწიფო ტახტი და ეს მეფე ისეთივე მოქალაქეთ  
ხდება, როგორც სხვა, ეს იმიტომ, რადგანაც მისთვის ძნელი  
იყო იმის ცნობა, რასაც ის ვერ იცნობდა, მე ბევრი ვიციო  
რომ ლიბერალები და რადიკალები სახემწიფო წების ცვლი-  
ლების გამო ჰქუხდნენ და ლაღაღებდნო.

ლუი ბლანი ხსნიდა მარტივად სახემწიფო წესებს, მის  
გამგეთ თვისებას, ძალას, ხმას და იმასაც თუ ვის როგორი  
შედევები მოსდევს, ღღეს რომ ერთი გამგეობას და ბრძანებ-  
ლობს, ხვალ მას რა მოელის, ნამეტურ აქ დიდი ადგილი  
უკავია რესპუბლიკურ გამგეობას, მის წარმომადგენთ და გამ-

გეთ, მის მოღვაწეთ, აქ ეს ბევრს რამეს უზენებს ნაკლს და შესავსებელს მხარეებს და ბოლოს თავის დასკვნების მეოხებით მის განვითარების დასაწყისსაც აფუძნებს ყოველ ნაირს მხრით, როგორც მიმართულებით ასევე სახემწიფო. პირების ოსტატობა და ერის წინაშე სიკეთის დაათესვით და ბევრიც სხვა საყურადღებო ცნობებით. ორლიანელებს და ლეგიტიმისტებს ძრიელ სძულთ საერთო ხმის ქონვაო, მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს ისე იმათ სამტროთ და საენოთ არ შთება როგორც თვით რესპუბლიკელებისთვისო, დღევანდელი კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლები მის სიკეთე მე არა მწამს, ამას არამც თუ ლუი ბლანი და ზოგიერთი ცხარე დემოკრატები უმზერდენ ასე, არამედ ასევე უმზერდა მეცნიერულის ჭ ფილოსოფიის დამაარსებელი ოგესტ კონტი თავის „ზოზიტიკურს ფილოსოფიაში“. წიგნში განხილულია მთელი რიგი წერილები შესახებ პაულამენტარულის სახემწიფოის, მის კანონმდებელ თვისების, ხმის და კონსტიტუციის მუხლების პრეზინდენტის არჩევის საერთო ხმის ქონვის, გამგენი და მათ ხელში მყოფი სამართალი, გამგენი ჭ მათგან სამართლის მოხმარება, სამოქალაქო სულთვნება. სამართლის დროს გამგეთ ძალა და სიმართლე, გამგეობის და სიმართლის ერთმანეთში კავშირი. რა არის ქვემარტი სამართალი, მოსამართლეზეა დამოკიდებული სამართლის პირობები, სად იწყება მისი. სათავე, სად თავდება მისი ძირი, როგორ უნდა განისაზღვროს და ან ესენი ვინ არიან.

აქ ეს სასტიკად მუსრავს ბევრს რასმე, ამაზე მასთან პოლემიკა მოუხდა. ყირარდენს. ეს ჰკიცხავს ლუი ბლანს და უმტკიცებს, რომ თქვენ მტრობას ჩადიხართო. ლუი ბლანი უმტკიცებდა მტრობა ის არის, რომელიც ათას მავნე საძაგელ პირს ხმის უფლებას ათვისებსო, რომ, მან ეს ხმა სხვათა სამტროთ იხმაროსო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, თუ როგორ ბოროტებით მოქმედობენ ზოგიერთი პირები და როგორ ათამაშებენ მთელ ერის უმეტეს გაუნათლებელს ნაწილსო. ეი-

რანდენი ამბობს, რომ ერი თავის სამზადისით ყოველთვის მიაღწევს თავის უმაღლეს წადილსო, ლუი ბლანი ეუბნება; მუშა ხალხი ყოველთვის მუშაობს და საქმის წადილით არის სავსეო, შაგრამ თავის ცხოვრებისათვის კი ესენი ვერაფერს აწყობენო. ამათთვის წადილს გარდა ცოდნაც და გაგებაც არის საჭიროვო, უამისოთ ისინი ყოველთვის მონებათ იქმნებიან, ასეთი მიმართვა ეწინააღმდეგება თვით საფრანგეთის კანონმდებლობასო, ასეთ საგნებისადმი კამათობა სახემწითოსთვის არ იყო სასიამოვნო, ეს მალე აკრძალეს, მწერლობა შესუსტდა, თავისუფალი გაზეთები დაიხურა, მწერლობა მხოლოდ არხეოლოგიურ განძათ გარდიქცა, აქ ძველ საქმეებს გარდა სხვას არას აკეთებდენ, ასეთი მწერლების რიცხვი ერთობ მრავლდებოდა, მათში ყველა განყოფილების მწერლები მოიპოვებიან, აქ ნამდვილი უკან მსვლელობა ჩამოვარდა, სასწავლებელში მოკლეს ყველა გამაცოცხლებელი ძალები, ერშიაც ისევე ქმნეს, უნივერსიტეტები საყენდარწოთ და საპოლიციოთ გადააქციეს, პროფესორები შპიონებათ და კაფედრები საბრძოლველათ.

ასეთ წესების წინააღმდეგ დაირაზმენ და იწყეს წინააღმდეგობა წერით და საქმით. ამათ მოქმედებამ დიდ ხანს არ გასტანა, ყველა ეს პირნი საფრანგეთის ახალ იმპერატორის მეოხებით გარეკილ იქმნენ. გარეკილებში სხვათა შორის ჰყვებიან ლუი ბლანი, პრუდონი, ვიკტორ ჰიუგო, ბლანკი, ლედრუ ლონერი, მონტამბლერი, პია, ორსინე, ჟირანდენიც და ედგარ კინე. ესენი გარეკეს პარიჟილამ, ამათ უკანასკნელი ცნებაც კი წაართვეს, ესენი სულ ცარიელ ტარიელები დაემგზავრნენ, ამათ დიდი გაჭირება გამოიარეს გზაში და სუყველა ეს იმის ბრალი იყო, რომ 1851 წ. საფრანგეთის ერმა თავზე ხემწითე დაისვა და თავის თავიც, მის წინ მონათ აღიარა. ესენი წავიდნენ პირველათ ბელგიაში, აქედგან უფრო კარგათ ეკამათებოდენ ნაპოლეონს, აქ მოიკიდეს ფეხი, ზოგმა გაზეთებში დაიწყეს წერა, ვიკტორ ჰიუგომ

ერთი წიგნი დაბეჭდა ნაპოლეონის წინააღმდეგ, ამით აქ შეადგინეს ძრიელი წრე, ამ წრემ იქ დაიწყო ასაფეთქებელი დინამიტების და სხვა ნივთების კეთება. ამთსაფრანგეთში გადატანაც მოახერხეს, ეს ამბები ნაპოლეონმა შეიტყო და 1853 წ. ბელგიის მთავრობას სთხოვა, რომ ყველა შეხიზნული პირები ედევნათ. სხვაგან გარეკეთო.

მართველობას ამათი დევნის სურვილიც ჰქონდა, მაგრამ საქმეს კი ვერ ახერხებდა, რადგანაც დეპუტატთა პალატაში ერი ეხმარებოდა მათ. ამის მეოხებით პარიჟში ერთ დღეს ნაპოლეონს სამჯერ უფეთქეს, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ნაპოლეონი გადაარჩა. იმპერატორი ამაზე გაჯავრებული იყო. ერთ დღეს ორჯერ ესროლეს. დამბაჩა, ვერ მოახვედრეს. ერთი დამნაშავე იცნეს პარიჟში ჩუმათ მისული ცნობილი მწერალი ორსინე, ეს და მისი ამხანაგები სიკვდილით განიკითხეს, როცა ორსინე სახრჩობელაზე ჰაყავდათ, ეს მაშინაც ამბობდა გაუმარჯოს რესპუბლიკაო! დასჯის შემდეგ გაზეთებში საუბარიც აკრძალეს. ამ დროს ნაპოლეონის მუცელმა ბევრი გამოჩენილი კაცი ჩაყლაპა და მოინგლა. მაგრამ საბოლოათ არც თვით დარჩა ხელ შეუხებელი, ეს მონღლება მას ტახტის დანაცრების მოახლოვებად ჩაეთვალა. ამ სვავს ძრიელ ჰკიცხავდენ ბელგიაში, ეს ვერ მოითმინა, მან დაავალა მთავრობას, რომ ეგ შეხიზნული პირები მანდემამ გარეკეთ სხვაგანო. ვიქტორ ჰუგო წარდგა მეფესთან და მოახსენა.

ოლონდ აქ დგომის ნება მოგვეცით და ჩვენ ჩვენის გამოორეკილებიდამ მთელს არმიას შევადგენთ და თქვენც დაგეხმარებით ომში სადმეო.

მართველობამ უარი უთხრა.

ასე, ოცდა ათ საათში თქვენ აქ აღარ უნდა იყვეთო; ყველა ესენი ჟანდარმებმა მოხვეტეს, ჩაყარეს ერთ გემში და უთხრეს: საითაც გინდათ, იქით წადითო; ესენი წავიდნენ ლონდონში, აქ თავი მოიკრიბეს და მალე გაძლიერდენ,

დაიწყეს კვალად წერა, ვიქტორ ჰიუგომ „პატარა ნაპოლეონის ისტორია“ დაბეჭდა, რომელმაც მოკლა ნაპოლეონ იმპერატორი, იმპერატორმა სთხოვა ანგლიის მთავრობას, რომ ესენი სადმე გაერეკათ, ანგლის მართველობამ (გრენილის) ყველა ესენი მოხვეტა და თავიანთ ხარჯით ამერიკაში გარეკა. რამდენიმე ხნის შემდეგ ლუი ბლანი, ვიქტორ ჰიუგო და სხვები ხელახლა გაჩნდნენ ლონდონში. ამათ დაეხმარნენ ბევრი ლიბერალი და რადიკალ ლორდები, ამათის დახმარებით ესენი ანგლიაში დასტოვეს. ნაპოლეონის გულის გასახეთქათ ამ განდევნილ პირთა პატივის მცემელთა რიცხვი საფრანგეთში ერთი ათად მატულობდა.

ამათ უფრო დიდათ სცემდნენ პატივს და შორიდამ უფრო კარგათ უმზერდნენ. ყველა საქმეზე ფრანკუზები შინილამ განდევნილ პირებს ეკითხებოდნენ ხოლმე, უამათ რჩევით არაფერზე კრინტსაც არ იღებდნენ. 1857 წ. სამხედრო მინისტრმა წარადგინა პროექტი კანონ მდებელ პალატის დეპუტატთა წინაშე, იგი თხოულობდა, რომ საფრანგეთის მხედარ მთავარი წელიწადში 100000 ფრანკით იყოს, ანუ იქმნას დაჯილდოვებული. პალატაში ამაზე ბევრნი წინააღმდეგნი გახდნენ, მართველობას ეუბნებოდნენ: რათ ფიქრობთ მაგას, რომ სამხედრო პირი დავაჯილდოვოთ, რატომ არ გინდათ, რომ მის მაგიერად ვინმე მწერალს მისცეთ რამეო. ამავე დროს მთავრობა თხოულობდა, რომ სამეფო სახლის წინქვის დაგების მოსამატათ, ციხეების და სხვების შესაკეთებლათ ასი მილიონია საჭიროვო. ამავე დროს ამათ მოახსენეს, რომ ჩვენ უნდა შევიძინოთ ჩვენის დიდებულის იმპერატორის ნიპოლეონ პირველის ერთი სასახლეო. რადგანაც იგი დღეს ერთ კერძო პირის საკუთრებას შეადგენსო. ამ პირს რომ 88,000 ფრანკი მეტი მივსცეთ, იგი მაშენვე თავს დაანებებსო, ესენი ამის ყიდვას მიტომ დომულობდნენ, რადგანაც ის სახლი, რომელშიაც ჩვენი დიდებული იმპერატორი სცხოვრობდა, დღეს ფერმათ არის გადაქცეულიო, ის ოთახი,

სადაც ეს დიდებული ქვეყნის შვილი თვის ჰაზრებს განუზიარებდა დღეს ის ოთახი ბევრ რაღაც უღირსი რამის ბინათ არსებობსო, სადაც ამ სასიქადულად პირმა დალია სული ის ოთახი გარდაქცეულია უბრალო ნივთების და რაღაცების საწყობ ოთახათაო. მისმა წმინდა საფლავმაც დიდი შეურაცხყოფა მიიღო. იგი ეკუთვნის ერთ კერძო პირს. ასეთი მოხსენება წარუდგინა მინისტრმა და იგი ცხარე ცრემლებით დახმარებას თხოულობდა.

ის კი არ წარმოსთქვა სამხედრო პატრიოტმა, თუ ამ დიდებულმა პირმა რამდენი ვნება მოუტანა თავის ქვეყნის ერს, რამდენი მეცნიერი და ფილოსოფოსი დაიბრჩო, რამდენს მოსჭრა თავი, რამდენი ციხეში დააღებო, რამდენი ბოროტი სისაძაგლე ჩაიდინა. მინისტრს ამასთან საქმე არა ჰქონდა. ამ დროს უნდა მომხდარიყო აგრეთვე ახალი დეპუტატების ამორჩევა. ახალი გამგე ამბობდა, რომ მე ისე უნდა ვიმოქმედო, როგორც ჩემი წინამოადგილე მოქმედებდაო. ამაზედ დიდი კამათობა შეიქმნა. დეპუტატებად სულ ძველ პირებს ირჩევდნენ. აქ ბერ ნაირ დასებმა წარმოადგინეს თავიანთი დეპუტატები, რესპუბლიკელებმა, ამის შესახებ, საფრანგეთიდგან განდევნილ ლუი ბლანს დაეკითხნენ. ლუი ბლანმა პასუხი მისცა, ამის პასუხმა მეტათ დიდი გავლენა იქონია ერზედ. და მის მეოხებით რესპუბლიკელებმა თავიანთი გაიტანეს. ამ სიტყვამ ერის საუკეთესო ნაწილი შეაერთა ერთად და ამათ ამოიღრჩიეს პრუღონის საყვარელი ამხანაგი, სოციალისტი დარიმანი და ოლევი. იმპერატორი ამაზედ ძრიელ შეკრთაჲ ძრიელ გულ მოსული იქმნა, რომ დეპუტატათ პარლიმენტთა წევრებთ შორის, ორი მეტათ გამოჩენილი სოციალისტები იქმნენ ამორჩეული. მან მინისტრებს ბევრჯერ ფეხებიც უბრაკუნა, მაგრამ ერმა თავისი გაიტანა. ნაპოლეონ იმპერატორი და მისი მომხრენი შემდეგ წლებში დარწმუნდნენ, რომ საფრანგეთიდგან განდევნილნი პირები ჩვენ გა-

რედან უფრო დიდ მტრობას გვიშვრებიანო და ერსაც უფრო აღელვებს მათი აქ არ ყოფნაო.

ამასობაში 1859 წელიც მოახლოვდა, ამ წელს მართველობისაგან ამნისტია იქმნა გამოცხადებული, რომლითაც ყველა განდევნილებს ნება მიეცათ რომ თავიანთ სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებულიყვნენ. ამ პატიებას საფრანგეთის მართველობა თავიანთ ღმ უცხო ქვეყნების გაზეთებშიაც აცხადებდა. ამანვედ მინისტრები მედიდურობდნენ, მდიდარი წოდება სიამოვნებით აივსო. სამღვდლოება დღე და ღამ იმპერატორის სიკეთისათვის ლოცულობდნენ, რომ მას დიდ ხანს ეცოცხლა, რამდენ შეწუხებულ პირს ასმენდნენ სიხარულს და მის მეოხებით დაბალ ხალხში ავრცელებდნენ ნაპოლეონ იმპერატორის კეთილ სულოვნებას, და დაბალ ანუ დაჩაგრულ ერის სიყვარულს, ასეთი იმპერატორის მოკვლას ანუ ტახტიდამ ჩამოგდებას, ვინ იფიქრებდა, ანუ ვინ გაბედავდა. ქეშმარიტად რომ არაო. ამ დოს საფრანგეთში, მრავალი გამოჩენილი პირების დაბრუნებას ელოდნენ, ამ მოლოდინის დროს განდევნილთ უმეტეს ნაწილი წინააღმდეგ გახდნენ და სხვა ღმ სხვა გაზეთებში სხვა და სხვა ენებზედ წინააღმდეგ წერილების წერა და ბეჭედაც დაიწყეს.

ამ მოწინააღმდეგე დასში ურევიან. პრუდონი, ლუი ბლანი, ლედრუ-ლორენი, ედგარ კინე და სხვანი. ესენი სწერდნენ: „ჩვენ, უნამუსო სისხლის შემეღ ნანაფეან იმპერატორს ვერ დავენდობით; მაგ ძაღლს, მაგ უნამუსო, მაგ სისხლს მსმელს, მაგ ბოროტს, მაგ ვერაგს, მაგ ერის მტერს“, და სხვები. ეგ ვინ გდია, ვინ არის რომ, მაგის ბრძანებით დავდიოდეთ, და მანდ შემოვიდეთ, შემოვიდეთ მაგ ღორის ბძანებით, ხოლოდ იმიტომ, რომ ხვალ და ზეგ კიდევ დავვიქირონ და ჩავესონ იქ, საიღამაც ჩვენ თავს ველარ დავიხსნით. ეგ მოწყალება მაგ ღორმა თავისათვინ შეინახოს, და თავის მგზავს ჩუმ ქურდებისთვის. ჩვენ მისი შეწყალება და პატივი არ გვინდა ლუი ბლანმა წინადადება მისცა გარეკილებს ასე:

„ერთი ჩვენა ნაწილი აქ უნდა დარჩეს, და ერთი კი უნდა დაბრუნდესო, რომ მთელი თავის სიცოცხლე, იმპერიის ტახტის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომოსო“. პრუდონს არ უნდოდა დაბრუნება. იმას იმედი არა ჰქონდა პატიობისა, ამას სამღვდელოების უფრო ერიდებოდა. რადგანაც ერთ თავის თხზულებაში ამტკიცებდა რომ ეკლესიას მორალთან არაფერი კავშირი არა აქვს, და იგი თავის დოგმატებით მხოლოდ რყვნის თვით სინათლის მორალსაო. გამხეცებული იმპერატორი ცძრიელ შეცადინებდა რომ მოეკლა საფრანგეთი, დიდს შეცადინებდას და ძალას ჰმარობდა იგი სამზღვარ გარედ რომ მოეპოვა. რა სანატრად მიაჩნდა იმპერატორს რომ საფრანგეთის თავისუფალ მოაზრების უკანასკნელი მნათობი ცკი გაეჭრო. რომელნიც სხვების ქვეყნიდგან უნათებდნენ თავიანთ ქვეყანას! რა დღესასწაული იქნებოდა იმპერატორისთვის, რომ ჩვენთვის პირში ბურთი ჩაედოვო, მისთვის რა სიხარული იქმნებოდაო. ესეთის ვითომც და კეთილის ზომებით სურს მას მთელი პარტიის გაქრობა.

ლუი ბლანმა ამის შესახებ დაბეჭდა ერთი წიგნი სადაც კრიტიკით საუბრობდა ხსენებულ გარემოებათა და ნაპატივებელ პირობათა გამო. ედგარ კინე და სხვები ამბობდნენ, რომ ჩვენ მიტკმ დავბრუნდეთ შინ, რომ იქ ამ დაბრუნებით ენა მოვიჭრად, დავმუნჯდეთ, ნაპატივებელნი იქ ხმას ვეღარ ამოვიღებთ, იქ ჩვენ დაცემულ ვიქნებით, მონებივით მობუზულნიო. არა, ჩვენ ეს არ გვინდა, საფრანგეთის მეფე ვინ არის, ვინ ბრძანდება ეგ ლორი, ეგ უნამუსო, რომ მისის პირით ჩვენ ჩვენს ქვეყანაში შევდიოდეთ და გამოვდიოდეთო. კაცის პირად ღირსების დაბრუნების წყალობით სურს რომ საზოგადო უფლებას ავნოსო, ეს ვერ მოხდებაო. ჩვენ ვიცით მისი ოსტატობა და მნიშვნელობა. მის მგზავს ოცნებებს, პირველად 1789 წელს მოედო ბოლოვო. რა სიკეთის მთესველი ბძანდებოა!.

ასე და ამ გვარად ასეთს აზრებს აცხადებდნენ—ესენი

მთავრობის წინაშე, ბევრი მათგანი არ ბრუნდებოდა უცხოეთიდან თავიანთ ქვეყანაში, ესენი ერთს მოსაზრებულ საქციელსაც ასრულებდნენ, რადგანაც აქედან უფრო სასტიკის მამართვით ეკამათებოდნენ იმპერატორს და სახემწიფო წესებს, აქედამ უფრო მკაცრად ავნებდნენ. უცხოში მყოფმა ლუი ბლანმა ბევრნაირად ისარგებლა, როგორც სხვათა ერის პოლიტიკურის მოძრაობის ცნობებით, ისევე მუშა ხალხის ცხოვრების ცნობებით. სხვათა შორის ინგლიზში ყოფნას მასზედ დიდი გავლენა ჰქონდა და მას დიდი სარგებლობაც მოუტანა. ინგლიზში ყოფნის დროს ლუი ბლანმა დასწერა ერთი ვრცელი თხზულება, რომელიც რუსულს ენაზედაც არსებობს და ეწოდება „Письма объ Англіи“.

ეს თხზულება სარკე არის მთელის ინგლიზს ერის, აქედან კაცი გაიცნობს ინგლიზს და მის სახემწიფო სამართველოს, პარლამენტს, დებუტატებს, ლორდებს, მწერლობას, მწერლობის მიმართვას, კანონთ მდებელ დასებს, მეცნიერებას, ლტოლვილებას, ზნეობითი მხარეებს, ვაჭრებს, ხენოთესვას, მეურნეობას, მრეწველობას, ქარხნებს, მუშა ხალხს, მდიდრებს, ღარიბებს, ბოგანოს, (პროლეტარს) სარწმუნოებრივ მხარეებს, მათ ქვეშევრდომ მდგომარეობას, ერთ ადგილს გაკვირვებით აღნიშნავს რომ „ჯონ სტუარტ მაიდი, აქამდისაც კი ზარღამენტში დებუტატათ არ ამოუჩნევიათო!“

ჯონ სტუარტ მილი ლუი ბლანის დიდი მეგობარი იყო. როცა საფრანგეთში ჯონ სტუარტ მილმა პოეზიტიური ფილოსოფიის დამარსებელ ოგუსტ კონტი გაიცნო და მასთან მიწერ-მოწერაც გამართა ქალების შესახებ, იმავე დროს ამათაც გაიცნეს ერთმანეთი, და წერილების მხწერ-მოწერა დაიწყესო სხვა და სხვა კითხვების შესახებ. ყველაზედ უმთავრესად ამ წიგნში ლუი ბლანს მეტად დიდი ყურადღება აქვს მიპყრობილი ანგლიის დაბალ ერის ცხოვრების მდგომარეობაზედ. ეს მწუხარებით განმარტავს იმას, თუ აქ როგორ იხოცება ღარიბი ხალხი და როგორ მარხამენ მათ. ამ გვა-

რად ლეონ ფოშეც აღვიწერ დიდს მწუხარებით. ეს პირი გაკვირვებულია ამაზედ რომ ინგლიზი თავისუფალი მხარეაო. აქ სამხედრო ძალა ისე დიდი არ არის როგორც სხვა-სახემწითოშიო და ამავე დროს აქ თორმეტი მილიონი პროლეტარი-ბოგანო არსებობს! ამის მიზეზებს ხსნის იგი, საყურადღებოა დიდათ აგრეთვე სადაც დამნაშავეების დაფარვაზედ საუბრობს.

„ინგლიზში დამნაშავეები ძრიელ გამრავლდნენო, ამ გამრავლების გამო იგინი ლუკმას ველარ შოულობენ, ვადატაკებულნი ადვილად იწყებენ აქა იქ ხალხის ცარცვას და შეწყუხებას, ამ საწყლების შესახებ პარლამენტში კრება კრებაზედ, ყველა ამაზედ ლაპარაკობს, ნეტა ამ ავაზაკ ღარიბებს რა უნდა უყოთო? გაზეთებშიაც განუწყვეტლივ ამაზედ ლაპარაკობდნენ, თუ ნეტა რა უნდა მოუხერვოთ ამ საწყალ ხალხთაგან დაბადებულ დამნაშავეებსო? ამ საწყლების შესახებ ვინ იცის რა კანონებს და წესებს არ იგონებდნენ. იყო დროეო, ამბობს ლუი ბლანი, როცა ზოგიერთ პირებს სიკვდილით ასამართლებდნენ, ზოგ ხოცავდნენ და ზოგსაც ახრჩობდნენო. ამ კანონ მდებლობთა სურდათ, რომ ხოცვით ანუ დახრჩობით ესწავლებინათ ხალხისთვის სიცოცხლის მნიშვნელობაო. მაგრამ დახოცილნი პირები ვეღარ სცოცხლდებოდნენო. რომ ეცოცხლათ და გაეგოთ მათებური სისაწყლის ანუ ცხოვრების მნიშვნელობაო. უნდა ითქვას, რომ ეს მოქცევა იყო კანონ მდებლობის წინაშე მეტათ უკანონოეო.

როგორც იქმნა ზოგი ერთნი მიხვდნენ რომ კმარა ხალხის ასე ელეტა, ამის კმარება მით უფრო იყო საჭირო. რადგანაც სიკვდილის მოსპობის საშუალებით ხალხისთვის სიცოცხლის და ცხოვრების რამე ესწავლებინათ. ეს რასაკვირველია ძრიელ კარგია და კეთილი საქმე თავიანთ მიზნის მისახვევლათ, მაჟ დაიწყეს ამ ხალხისთვის სავათმყოფოების დახსნა, ციხების გაფართოება, სადაც სახელოსნო სასე-

წავლბელიც გახსნეს და აქ დამნაშავეების გასაწურთნად სხვა და სხვა პედაგოგურ ზომებსაც ხმარობდნენ, ზოგს ამათგანს ამუშავებდნენ, ზოგს ამათგანს მიჩენილები ჰყავდნენ მქადაგებელ მოძღვრები, რომელნიც უქადაგებდნენ რომ ესენი გაუმჯობესდნენ, ანუ გაუმჯობესებულნიყვნენ. შესდგომოდნენ ღვთის გზას, სიყვარულს, ამ მქადაგებლებმა ბევრს მათგანს შეაყვარეს კიდევ, სიღინჯე, ღვთაება: ბევრნი ამათგანი საშინელ ღვთის მოყვარე ფანჯტიკოსებათ გადაიქცნენ, მაგრამ შველით კი მათ გაჭირვების დროს არც ღმერთმა შეიბრალა, არც ქრისტემ გადმოხედა. არც ღვთის მშობელმა და არც სხვა წმინდანებმა. ასე, სჩანს, რომ ამათ ხვეწნა და მუდარება ტყუილი ყოფილაო. ეს მით უფრო, რადგანაც ამ ხალხთაგანნი ასე განვითარების შემდეგაც კი, ხშირად იწყებდნენ ავაზაკობას და ესენი უფრო სასტიკ მტერებად უხდებოდნენ საზოგადოებასო.

ბევრს ესენი ავათმყოფებათ მიაჩნიათ, ეს მართალიც არის, უბრალოთ კი არ უთქვამს მეფორამეტე საუკუნის საფრანგეთის ენციკლოპედისტ-ლიდეროს, რომ „სასტიკი კაცი ავათმყოფი ჰირი არისო“ ეს მოსაზრება ქვეშარიტი გახლავსთ. ამას ღიდი ყურადღება უნდა მიექცეს, ყურადღებას კი არ აქცევენ. უნდა ითქვას, რომ ამ ავათმყოფებს, ანუ ავაზაკებს, ციხეში ერთობ კარგადაც უვლიან, კარგ სასმელ. საჭმელს აძლევენ, ხშირად ღვინოს, პივასაც და ისე რომ ხშირად ეს გაუჭირდება ასე ცხოვრება ბევრს თავისუფალ მუშასაც, ასეთ მოწყალეების მეოხებით ესენი არამც თუ სპობდნენ ავაზაკობას ერში, არამედ მის საშუალებით უფრო ამრავლებდნენ კიდევ, რადგანაც ბევრს ღარიბ მუშასაც კი შურდაციხეებში დამწყვდეულ ტუსადების სასმელ საჭმელი, საწყალი განგებ იწყებდა ავაზაკობას, რომ მის მეოხებით ციხეში ჩავარდნილიყო. ამისთანა საშვალეებით ავაზაკობა, დამნაშაობა უფრო მრავლდებოდა. ამ გამრავლების გამო უმაღლესი საზოგადოება და მართველობა ძალიან ბაასობდნენ, ესენი ამ-

ბობდენ რომ რამე უნდა მოუხერხოთო, თორემ ასე დატოვება არ იქნებაო. ზოგნი ამბობდნენ, რომ ყველა ავაზაკები შეეკრიბოთ ერთათ და ერთ მხარეს გავრეკათო და იქ მათ კოლონები დაუარსოთო.

ესეც მოახერხეს მცირე ხნის განმავლობაში, მაგრამ მაინც ამით არ ეშველა რამე უმრავლესობის ნაწილს, დიდი ნაწილი დაშთა ისევ უპუროდ და ლატაკად, ამ ლატაკთა ბედმა იქამდის მიაღწია, რომ ლატაკთ მუშათა კოლოები თავიანთ პატარა ქორთა შეიღებს თვითონვე ახარობდნენ, ხოცავდნენ და გაყინულს სარდაფებში ჰყრიდნენ, რამდენი ამისთანა დახოცილი ბავშვები უნახავს სხვებს, ამას კაცე ვერ მოსთვლი. განა საწყალი დედა აღვილათ გაიმეტებს თავის შვილს გადასავდებად; რომ მას დიდი გაჭირვება არ ჰქონდეს, ამას რაღა ფიქრი უნდა, სილატაკის წყალობის მეოხებით ერის უმეტესი ნაწილი დიდ უბედურებაში ვარდება, რის მეოხებით იგინი ყველაფერსაც ჩადიან. ამაზედ მათ ხშირად ნადირათაც სთვლიან, მაგნე მტრათაც და იმავე დროს ბოროტების წამალსაც ეძებენ რომ მის მეოხებით ესენი მოსპონ, მაგრამ მის მოსასპობ საშუალებას კი ნათლად ვერ მიხვედრიან.

ამათ შესახებ ლუი ბლანი ურჩევს მათ, ასე: „რასეღ იწუხებთ თავებს, გრძნობებს, კაზეთში რასეღ სჯით, რათ ხარჯავთ უბრალოდ ფულებს, რისთვის იხრცავთ თავებს, ეგელა მაკაებით ვერაფერს გააწყოთ. თუ გბნდათ მათში ავაზაკობის მსხმება, მაშინ მათში მსხმეთ მის დასაწყისის მიზეზება, ესე იგი სიდატაკე და მაშინ შეიძლება ამ ავაზაკობის მსხმებაც, თუ არა და უოველივე ამაოდ დარჩება, ეგელა ზომები რასაც დდეს ინგლისის გამჩენილი ჯარდები, ურჩნალები და კაზეთება ადგანან. უმაქნისაა, უვარკისი იქნება, — ეს ასეა.“ ამ წიგნში მთელი რიგი მოიპოვება ისეთის ცნობების, რომელნიც ღირსნი არიან ყურადღების მიპყრობის, საჭიროა რომ ჩვენ ყმაწვილ კაცებში იკითხებოდეს იგირადგანაც ამ წიგნში ბევრი ისეთი კითხვები მოიპოვება, რასაც ჩვენ გვარს პოლიტიკურს მდგომარეობაში მყოფთა ერის.

მდგომარეობასაც კარგად შეეხება და ხატავს. ნამეტურ ინგლისის მართველობასაგან თავის მუშა და ქვეშევრდომების შეწუხებას, ჩაგვრას და სილატაკე-უბედურებას. მდაბიო და შეწუხებულ ერის ცხოვრებისთვის საკმარისი მნიშვნელობა მიუცია ლუი ბლანს. იგი მძლავრის მიმართებით სჯის ინგლისის ლატაკი ერის ცხოვრებაზედ.

ამ წლების შემდეგ ლუი ბლანმა გამოსცა ერთი თხზულება რომელსაც რუსულად „Вопросы сегодня и завтра.“ ეწოდება. ჩვენ ამ წიგნის შესახებ მის ბიბლიოგრაფიიდან ვსარგებლობთ და ვწერთ, დაბეჭდილია „ოტენესტვენი ზანისკაში“ ამ თხზულებას დიდი კამათობა გამოუწვევია. რუსულს ენაზედ ჯერაც თარგმნილი არ არსებობს. ამ საკმარის საყურადღებო წიგნის შემდეგ ლუი ბლანმა 1864 წელს დაბეჭდა ერთი წიგნი სადაც ახლად მიუბრუნდა საზოგადო ხმის მიცემას. თუ როგორ უნდა იქმნეს წარმომადგენლობითი და სისაგან ხმის ქონვის და მიცემის უფლებებიო. ლუი ბლანს ამის შესახებ აეწინააღმდეგა გამოჩენილი ღამარტინი. ეს ამბობს: „ესეთი ხმის შეახებით უფუფი უბრალო ზიანი უთანასწორობა მოქალაქესა და ამით უფუფას გული შეკრთებულის წადილით უცემთა, რამ მით კეთილ რამეს მიადწინა.“ ამ გამოჩენილ პირს თავის ცნობებიც მოჰყავს. ლუი ბლანს ეთანხმება ინგლისის გამოჩენილი ეკონომისტი ჯონ სტუარტ მილი, ამაზე მაგალითებით დაამტკიცა ლუი ბლანის შენიშვნები. ლუი ბლანს ჯონ სტუარტ მილის გარდ სხვებიც ეთანხმებიან და ამას ავრცელებენ. ხმის მიცემა ერმა განათლებულ პირებს უნდა მისცენო, რომელიც თავიანთ სინდის და ნამუს არა დორს არ უმტყუნებენო, რამდენი მაგალითი იყო, რომ უსწავლელ წარმომადგენთ მეოხებით, კანსერვატორები, რეპრეზენტადები და მონარხისტები იქმნენ ამორჩეულნიო.

1866 წლის შემდეგ ეს დიდს თანაგრძნობას უცხადებს. და ამ საზოგადოების პროგრამის თანახმად, მის ცდა ერთობ დიდ მნიშვნელობას ამღევდა და ნამეტურ მათის ცლით და-

ბალ მუშა ერში სოციალიზმის გავრცელებას, და მასთანვე მეცნიერული სოციალიზმის აღორძინებას, რომ მის მეოხებით, მძლავრის კაპიტალურის ბურჟუაზიისაგან შეწუხებული ხალხი დასულ იქმნესო. ეს დიდის თანაგრძობით უმზერდა გერმანიელი შულცე დელიჩის და ფერდინანდ ლასალის პოლემიკას, ლუი ბლანს დიდათ მოსწონდა ფერდინანდ ლასალის მსჯელობა შულცე დელიჩის წინააღმდეგ მიმართულს, სადაც მსჯელობაშიაც თავის მოძღვრების მოაზრობის თანახმად სახემწიფო სოციალიზმის გამგეობას და დაბალ ერის მფარველობას დიდს საჭიროებად სთვლიდა. მთავრობა უნდა არსებობდეს ხალხის კეთილდღეობისთვის. სახელმწიფო უნდა უომებოდეს ხალხის სიღატაკეს, უმეცრებას, მონებას და შიმშილსო. ეს უნდა იყოს სახელმწიფოს დევიზიო. რაც ლასალმა თავის მეორე ტომში გამოთქვა შესახებ ფულისა და შრომის, იგი ლუი ბლანის მოძღვრების უპირველეს დედა აზრებს შეადგენს. ეს ყველასთვის ცხადია. ვისაც კი შესწავლილი აქვსთ ამათი ცხოვრების ცნობები. 1866 წელს საფრანგეთში კვალად ასტეხეს წერა დეპუტატთა მოვალეობის შესახებ, რომ ბრძანებლობითი მონდობილება ერისაგან უნდა ავასრულოთ თუ არაო. ამ საქმის კამათობას თავის ფორმულაც აქვს მიღებული. ამ კამათობის და დეპუტატთა საკუთარ ღირსების და მნიშვნელობის გამო ლუი ბლანმა დასწერა ერთი წიგნი, სადაც სჯის საზოგადო კითხვებზედ. აქ ლუი ბლანი სხვათა შორის საუბრობს, თუ დეპუტატებს რიგორ ირჩევენ და ესენი როგორ უნდა იცავდნენ თავთან მონდობილებას, როგორ უნდა დაიცვან ხალხის მონდობილება. თუ ხალხის მონდობილება მათთვის საწინააღმდეგო იქმნება, მაშინ მათ ამ თანამდებობას როგორ უნდა გაანებონ თავთ, რომ ხალხის საყვედური არ მიიღონ.

ამაობაში მოახლოვდა 1870 წლები. ფრანკო-გერმანული და ნემეცებმა ომი დაიწყეს, ომში ფრანკო-გერმანული და მარცხდნენ და საქმე იქამდის მივიდა რომ ნემეცებმა კინალამ პარიზი

აიღეს, ამ დროს სახემწიფოს ძალა წაერთო ხელიდამ, ხალხმა ნაპოლეონ იმპერატორი მტრათ იცნეს. მალე ათას ნაირი დასები და წრეები გაჩნდნენ და სახემწიფოს მკაცრად აღუდგნენ წინ, ომი მოსპეს. გერმანიელებს ფულით მოუტირდნენ, ნაპოლეონი და სხვა მის მომხრე დიდი კაცები შიშით სხვა სახემწიფოებში გაიქცნენ, რადგანაც აქ, პარიჟში, სახემწიფო ტახტი დაეცა და მის მაგივრ რესპუბლიკის მართველობა დაარსდა, ამის დაარსებისთვისაც დიდი სისხლი დაიღვარა. საფრანგეთმა ეს მესამედ შეუწაღვრა ტახტი თვისის მეფის რაისთვისაც დაღვარა დიდი სისხლი. მაგრამ მაინც თავი გაიტანა ხალხმა და უკანასკნელად დაფუძნებული იქმნა რესპუბლიკური მთავრობა უზაკველად და შეუწაღვრელად დაარსდა. დიდი ისტორია აქვს ამას. ამ დროს კილუი ბლანი დაბრუნდა საფრანგეთში, აქ ამისთვის სულ ახალი ცხოვრების ხანა იწყება, ახალი მოღვაწეობა და სამსახური. ამის შემდეგ თითქმის მომრიგებლობის თანამდებობა ხვდა წილად, იგი იმ დროს რესპუბლიკელებს და კომუნისტებს შუა ჩადგა და ყველა მათგან, ერთი ძრიელის რესპუბლიკის დასის დარსებას სცდილობდა. ამავ დროს ეს პირი რადიკალების პარტიამ ამოიღო ვიცე-პრეზიდენტათ. ამ პარტიის სულს შეადგენდაა ლუი ბლანი. ამ დროს ორჯერ გამოვიდა რესპუბლიკის დასაცველად.

ეს მეხივით დაეცა სახემწიფო ტახტის მომხრეებს, ეს კიდევ წინააღმდეგ წავიდა საერთო ხმის მიცემის ამორჩევით პრეზიდენტისა. ჩვენ შეიღებებს ჩვენ ვერ შემოუფარგლავთ მათ პირად უფლების მხარეებსო, ეს თხოულობს ცენტრალიზაციას, როცა ეს იქმნება, ერს, მაშინ იგი კარგად წაიყვანს თავის საქმეს და მტერს ძალა ჩამოერთმევაო. ტიერი და ლუი ბლანი ერთმანეთის წინააღმდეგ წავიდნენ, ბურჟუატიერს ეს მკაცრათ ლეწავდა, ასეთ გზებს ნუ გაჰყოლიხართ თქვენო, მიუგო მან ტახტის და ბურჟუაზის მომხრეებს, „თქვენ სოციალიზმის და კომუნისმის მესხობას კი ნუ შეცადანე“

ობთ, მოსხვით ის უძღური წესები, რაც მთელს ერს ღუზავს, მოსხვით ის სასახლეები, სადაც სახემწიფო ზინთა წყალობით ასობით თავიანთ ნამუსზედ ვაჭრობენ, მოსხვით შიმშილი, მოსხვით სიღატაკე, მოსხვით უწესობა, უკანონობა და ერთისგან მეორის დაჩაგვრა. # ტიერს ლახვარად ხვდა ეს გულში, ამასვე იმეორებდა გამოჩენილი კომუნისტი ბლანკი. ტიერს აზროვნების თანახმად იყო ეულ ფაერი, 1870 წელს ეს მთელს ევროპას ბეზლობით ასმენდა რომ, ხალხთა შორის მუშების სოციალური ამხანაგობანი ნამდვილს ყაჩაღობას წარმოადგევსო. იგინი თავიანთ მოძღვრებით ყველაფრის წინააღმდეგ ირაზმებიანო, ლუი ბლანი და მისთანანი მშიერ მუშებს უფრო აქებებენ მშვიდობიანი წესების წინააღმდეგო, ამ სოციალისტების ამხანაგობის წესდების მუხლს ის შეადგენს, რომ მათ ყველაფერი დასცენ, გაანადგურონ, ყველაფერი აიკლონ და აანიავონო. ამიტომ მოვალე ვართ მათ წინააღმდეგ ბრძოლასო, მოქმედებას, დაცემას და მოსპობასო! თორემ ბოლოს ეს გახდება საფრთხილო მთელის ევროპისთვისო. ამათ დიდი სამართველოები აქვთ ბელგიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში და რუსეთშიაც კიო. საფრანგეთის ყველა უბედურობის და რეაქციის მიზეზი ესენი არიანო, ესენი აღიჭურვენ მაშინ, როცა ფრანკლებს მტერი გარს ესაო, როცა გარეშე მტრები გვიკლებდენ, ამათ მაშინ გაახილეს თვალები, ნახეს უძღურება და დაიწყეს მუშა ხალხის ამხედრება და ბრძოლაო. ეს საქვეყნო რევოლიუციონური პარტია თავს ვერ იმართლებსო, მათ რაც უნდა გასამართლებული ცნობები მოიყვანონო, მაინც ვერ გამართლდებიან. უცხო სახემწიფოებმა ჩვენს წინააღმდეგს ყურადღება უნდა მიაქციონო. ამიტომ რომ საფრანგეთი სამსახურს უწევს მათაო, თორემ ეს უბედურობა რევოლიუციონერებისაგან ოდესმე მათაც ეწვევათო. ეს აზრი ძრიელ მოსწონდა ტიერს, ტიერა რესპუბლიკის გამგეობას თხოულობდა, მაგრამ ბევრნაირ შეცდომებით სავსეს, უფრო ბურჟუაზელს.

ამ დროს უნდა ამოერჩიათ რესპუბლიკის პრეზიდენტი. 1871 წ. ლუი ბლანმა დაბეჭდა: „ამორჩეულთ მოწოდება“ ლუი ბლანი მარტავს საფრანგეთის ერის იმ დროის სამწუხარო მდგომარეობას და ეძიებს ისეთი წესების შემოღებას, რაც გახდება ნაბიჯი ოდესმე სრულის მსოფლიო ძმობის და საერთო ოჯახის დაარსების, როცა სიმშლიც მოისპობაო, ამიტომ ურჩევს ერს, რომ მათთვის ამორჩევას ყურადღება მიაპყრონ და უექველად ამოირჩიონ ნამდვილი რესპუბლიკანელი პირო. ისეთი პირი, ვისაც დიდი პატივისცემა ექმნება კაცის პიროვნების, თავისუფლების და სხვანიო. ამავე დროს საფრანგეთის ერის ძალა სამს ბანაკად იყო გაყოფილი, რესპუბლიკელები, კომუნისტ სოციალისტების და მონარქისტების. ყველაზე უსასტიკესათ დამარცხებულ იქმნენ კომუნისტ სოციალისტები, ესენი მკაცრად იბრძოდნენ, როგორათაც სახემწიფო ტახტის მფლობელთ წინაშე, აგრეთვე სხვა და სხვა წრეების, დასების, ერთის სიტყვით ყველას წინაშე ვინც კი მათ ხალხის სიღატაკის დაბადების წიშნათ მიაჩნდათ. იგინივე მკაცრი წინააღმდეგნი იყვნენ ბურჟუაზიულის რესპუბლიკის მთავრობის დასების მოღვაწე პართ წინაშეც. რესპუბლიკა არსდებოდა, ამას ბევრი ეღობებოდნენ წინ და თხოულობდნენ რომ რესპუბლიკა თუ დაარსდა იგი უნდა უსათუოდ დემოკრატიული აზროვნების აყოსო და არა ბურჟუაზიულისო. ამის გამო ესენი სასტიკათ იბრძოდნენ, შრომით იქამდის მივიდნენ, რომ უკანასკნელს დროს, ამ ძრიელმა დასმა განიძრახა იერიშით დაცემა, ყველა საზოგადო წესების დაპატრონება, ყველა საქმის გამგეობის ხელში ჩაგდება.

ესენი ამბობდნენ, რომ ჩვენ საწყლები თავად აზნაურებთან და სხვა მდიდრებთან როგორც წოდებით უნდა გავსწორდეთ, ისევე ეკონომიურათაცო. ამ საგანმა და სამზადისმა დიდი თავზარი დასცეს იმ დროის მართველობას. მათ სასტიკ და ფიცხელის წესით მოეპყრნენ, 1871 წელს. დასცეს პარიჟის კომუნა, თვრამეტი ათასი საუკეთესოდ მომ-

ზადებული კომუნისტები უწყალოთ და შეუბრალებლოთ დახვრიტეს!!... ეს შემთხვევა თავ ზარ დამცემ იქმნა როგორც საფრანგეთის უმეტეს ნაწილისთვის აგრეთვე ევროპის მრავალ განათლებულ ერთათვისაც. ამას არავინ მოელოდა, მაგრამ მოხდა მიტომ რადგანაც კომუნისტები დაცემულ იქმნენ სიმპტირის გამო. ძალამ დასძლია ჭეშმარიტ ძალას. ეს დიდათ საგლოველი იყო მრავალთ მსწავლულთათვის მით უფრო რადგანაც იგი მოხდა რესპუბლიკის ახალ სამართველო ახალ მეუფროსე ბურჟუა ტიერის მეოხებით. ამ კომუნისტების საფლავი ცალკე არსებობს თურმე. ამ გარემოებითაგან ლუი ბლანი ჯავრით მკვდარ იქმნა, მის გამოისობით მან დიდი კამათობაც დაუწყო რესპუბლიკის მართველობას, ეს კამათობა მის სიკვდილის დღემდის არ მოსპობილა. ამ უწყალოდ დაქლეტის შემდეგ ყველა დარწმუნდა იმაში, რომ კომუნა დავეციტო, იგი მოისპო და გააქრაო. შეძლებული ძალა დაწყნარდა და დადინჯდაო.

ამაზედ ბევრს უხაროდა კიდევ, მაგრამ საქმე ასე არ აღმოჩნდა. კომუნისტები სულ არ მოისპვნენ, ესენი შეიკრიბნენ ხელ ახლად და კომუნელთა დასი შეადგინეს, ამ კომუნელთა დასის დაარსებით კომუნამ ერთი ბიჯი წინ წადგა ეკონომიურის განვითარებაშიო პოლიტიკურს მხრის საშვალებით. ბურჟუაზიულ რესპუბლიკელებისაგან ესენიც უწყალოდ იქმნენ განკითხული, ამ კომუნელთა დასში ლუი ბლანი მონაწილეობა არ მიიღო, თუმცა ამ დროს კომუნის დარსების წინაღმდეგი კი არ ყოფილა. ამ დროს საფრანგეთში მოისპო და გაუქმდა ყოველნაირი წოდება და ყველა საფრანგეთის მოქალაქეებათ იქმნენ აღიარებული. იქ ყველა მოქალაქეს თავადი, აზნაურის და ასეთ წოდებანი დიდათ სძულდათ. დღესაც კი არიან ზოგიერთი ისეთი პირნი, რომელნიც თავის წოდებას ატარებენო, ასეთს პირებს მართველობამ დიდი ხარჯი დაადო გარდასახადათ. აზნაურს 5000

ფრანკ- თავადს 10000 ფრანკი, სხვებს კიდევ მეტი, ეს ყვე-  
ლა ფული მუშების სასარგებლოდ გროვდებოდა.

1872 წელს, ქ. ვერსალში ლუი, ბლანი, ორას ათას  
კაცის წარმომადგენლად იქმნა ამორჩეული რესპუბლიკის  
სამართველოში. ამავე დროს დიდათ სამაგალითოდ, შეიქმნა  
ლუი ბლანისთვის ის გარემოება რომ ევროპის განათლებულმა  
ხეირიანმა ძალამ მოიწადინა 18 აპრილს, 1872 წ. ედლესას-  
წაულათ, პარიჯის კომუნის უმაღლეს სამაგალითო გმირობის  
სახსოვრად, რომელნიც თავის სისხლით დაცემულ იქმნა საფ-  
რანგეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკელ უნამუსო გამგეობი-  
საგან. რომელ საქციელიც არ შეჰფეროდა ახლად დაარსე-  
ბულ რესპუბლიკას და რომლის მკვლევლობითაც მათ შესვა-  
რეს რესპუბლიკის დროშაც. სოციალისტ მუშებმა შერთებულის  
სინდისი ერის ძალით პირობა დასდეს, რომ ეს ღირსი სახ-  
სოვარი დღე ტახტის გადაბრუნებისა და კომუნის დამარც-  
ხების ჩვენ დიდის პატივის ცემიდ უნდა ვიდეხსასწაულოთო.  
ასეთ მაგალითმა ლუი ბლანს ახალთ დაუმტკიცა მუშების  
ერთგულება, ბრძოლა შრომის და პირად თავისუფლების  
წინაშე. ამ ხნის შემდეგ ლუი ბლანში, კაცის თავისუფლების  
და ინდუვედუალიზმის გამო ხმა არ დამდგარა საფრანგეთის  
რესპუბლიკის მართველობის წინაშე, დაბალი ერის ცხოვრე-  
ბას და პიროვნებას ეს დიდის მეცნიერულის დადადებით  
იცავდა, სადაც კი ფეხს გადასდგამდა, ყველგან საწყალი ხალ-  
ხი და მათა მდგომარეობა ჰქონდი საგნად გამხდარი, ამას  
ასრე მკაცრად მიტომ უფრო ჩაატრინდა, რადგანაც ჯარის  
უმეტესი ნაწილი რესპუბლიკას პატარა ეჭვით უცქერდა.

ესენი ბევრს რამეებს ელოდნენ მისგან, მაგრამ მიღებით  
კი ვერა ნახეს რაო. ჩვენ უნდა ვიმეცადინოთ რომ მათ  
ცხოვრებას წამალი რამე დავსდოთ, თორემ რესპუბლიკის  
სამართველობას განსაცდელს მიაყენებენო. ამაზედ დეპუტატე-  
ბის უმეტესი ნაწილი უარზე იდგნენ, უარს უცხადებდნენ,  
ესენი ამბობდნენ, რომ ჩვენ შუბი და ზარბაზნები მოსყენებულა

გვაქვ? კარგად\* „ამაზედ ამბობდა ლუი ბლანი“ ვნახთა!“ ამის კამათობის შესახებ მას დიდი ბჭობა, და აღიქოთი ჰქონდა ხოლომე და მას იცავდნენ ყველა გამოჩენილი მწერლები. ამ დროს მან გაიცნო რუსის მწერალი პეტრე ლავროვი-პირტოვი, რომელიც პარიზის კომუნის ისტორიას სწერდა. ამავე წელს ერთის მხრიდამ მეორე მხარეს-გადაყვანდათ დაპატრონებული კომუნისტები, მათი გადაყვანად მართველობას ღამით უნდოდა რომ დღისით თანამგრძობთ რიცხვი არ გამოჩენოდენ დაპატიმრებულებს. კომუნისტებში ერთი გამოჩენილი მწერალ მოღვაწე და კომუნისტიური განხეთის რედაქტორი ოგუსტ ბლანკი, ამის გამო ლუი ბლანი ამნისტიის შესახებ მოხსენება შეიტანა პარლამენტში, მიგრამ ეს არ შეიწყნარეს, შემდეგ ბლანკი მოწყალეობით განიკითხეს და გაანთავისუფლეს, განთავისუფლების შემდეგ ბლანკმა და ლუი ბლანი ერთათ იმოგზაურეს, ამ მოგზაურობამ შეაშინა მრავალი რესპუბლიკელები, ვაი თუ შფოთები ასტეხონო, ეშინოდა უფრო გამოჩენილს ფილოსოფ მენსტორიებთ და სხვებსაც. რამდენიმე ხნის შემდეგ ბლანკმა შეიტანა თხოვნა, ზოგიერთ ცოცხლად დასჯილ კომუნისტების პატიობის შესახებ. მაგრამ მასაც უარი უთხრეს. ამ დროს პარლამენტში დეპუტატთა არჩევა იყო, რამდენსამე სადებარტამენტოში ბლანკი ამოირჩიეს. ამორჩევის უფლება ოგუსტ ბლანკს არ აქვსო, რადგანაც იგი მართველობამ თავის შეწყნარებით გაანთავისუფლაო, მის მეოხებით ასეთ პირს ყოველი უფლება ერთმევა ზელიდამაო. ეს მხოლოდ ამნისტიით განთავისუფლებულს აქვთ მინიჭებულიო.

ცოტა არ იყოს, მძლავრად ატეხილმა სჯამა, კამათმა და რესპუბლიკური მთავრობას წინაშე ბრძოლამ საკმარისად დააფიქრა გამოჩენილი ლიტრე იგი ამის გამო ძრიელ შეშინდა. ეს ამბობს: „თუ რომ საფრანგეთის რესპუბლიკას რამე განსაცდელი მიადგა, ეს სულ ამათი ბრალი იქნებაო, ეს იმის მიზეზია, რომ სოციალისტები, კომუნისტები და დემო-

კრატები მეცნიერებას ზურგს უქცევნო, ამის შესახებ სჯას, მან შემდეგ დროის თავის მსოფლიო წიგნს „პოზიტიურს ფილოსოფიაშიც“ დაუთმო დიდი ადგილი. იქ მკაცრად სჯის იგი გაუნათლებელ სოციალიზმის წინაშე. ამავე წელს მუშა და დაბალი ერი რესპუბლიკის წინააღმდეგ აღსდგა, ამათ უნდოდათ მართველობის გამოცვლა და უფრო დემოკრატების არჩევა სამართველოში. ლუი ბლანმა როგორც მათში პატივცემულმა, ჩაერია სიტყვის წარმოთქმით, ხალხი დააწყნარა და დაარწმუნა რომ ეს დასაღუბი იქნება ჩვენთვისაც და მით ხემწიფის მომხრეები იდღესასწაულობენო. ამიტომ სიფრთხილედ და ღუმილი გვმართებს, საქმის გარჩევა, გაჩხრეკა და ასე მოქმედებაო. ამ დროს, ლუი ბლანმა ამნისტიის შესახებ პაზრი შეიცვალა. ერიდებოდა რომ რესპუბლიკურ მთავრობას მტრები არ გაუმრავლდენ და არა ევნოს რაო. მას სურდა რომ რესპუბლიკას დემოკრატიული დედა აზრები მიეღო და მით გაძლიერებულიყო, რომ გზაში რამე განსაცდელი არღარ დახვდეს ამდენის მოკამათე პირებისგანო.

თუმცა რესპუბლიკის გამგეობის ნაკლულეგანებას არ მალავდა და ამხელდა; რაც მას ძრიელ სტანჯავდა, ნამეტურ 1870 წ. და 1871 წ. სამშობლოს წვა და ოხრება, რაც ტიერმა და მკმაგონმა მიაყენეს. ამიტომ ამან მუშებს დაუწყაო მტკიცება, რომ ძრიელი რესპუბლიკა თქვენს მდგომარეობას განაკარგებსო, ლუი ბლანმა და კარნომ დიდათ იმეცადინეს საფრანგეთის კანონთა კრების გამოცემაზედ.

1873 წელსა, ლონდონში იყო სოციალისტების საერთო კრება. აქ ლუი ბლანი აუცილებლად უნდა დასწრებოდა, მაგრამ მის სამშობლო ქვეყნის შინაურმა მდგომარეობამ შეუბრკოლა ხელი, რადგანაც ამავე დროს, პარიჟის და ლიონის მუშებში დიდი შიმშილი ჩამოვარდა, ეს იყო ომის შედეგი. ლუი ბლანმა და ვიქტორ ჰიუგომ სალიტერატურო საღამო გამართეს პარიზის დიდს სცენაზედ. აქ დაესწრო დიდი ძალი ხალხი, ფულიც პირდაპირ პარიზის და ლიონის

მუშებისთვის იყო დანიშნული. ხალხმა ლუი ბლანი და ვიქტორ ჰიუგო სცენაზედ დიდის პატივით მიიღეს, ბევრს ეგონა რომ ლუი ბლანი საფრანგეთის ერის ისტორიიდან წაიკითხავს რამესო. მაგრამ საქმე ასე არ აღმოჩნდა, ლუი ბლანი წაიკითხრა ერთი თავის დაუბეჭდავი ახალი თხზულება. სახელდობრივ „ზაუხერიზმის გაუქმება ანგლიაში“.

ამ შესანიშნავ თხზულების კითხვა ბევრს არ მოეწონათ. მაგრამ როცა ლუი ბლანი მოვიდა იმ ადგილას სადაც იგი ამბობს: მეცნიერებამ ზაუხერიზმი ისე უნდა მოსძვოს, როგორც ბატონ უშობა, მონება, ძველი აზრები და სხვანია“. ამ დროს კი ხალხმა ტაშის კვრით პატივი სცა. ზოგმა უსაყვედურა კიდევ, რომ შენ მეცნიერული მეთოდით ხარ და სოციალიზმის მორჩილება არ შეგფერისო, რადგანაც იგი მაშინ შენს მეცნიერულს ისტორიის ღირსებას ამცირებსო. ასეთი საყვედურები ხშირად ესმოდა მას. მან დაუმტკიცა კისერ გასუქებულებს, რომ ამით იგინი სცდებიან, სცდებიან დიდათ, რადგანაც იგინი ბძანებდენ, რომ შავ-მუშა ხალხს გონებითი განვითარება არ შეუძლიანთო, იგი პირუტყვია, მონა არის, იგი უსულო არსებას წარმოადგენსო! იმავე დროს სწორედ ამავე აზროვნებას დაადგა რუსის გამოჩენილი პუბლიცისტი იუ ჟუკოვსკიც. რომელიც 1860 წლებში გამოჩენილ მწერლად იყო ხმობილი. ამან სხვათა შორის დასწერა წიგნი: „ლუი ბლანი და პრულონი“ და მათი მოძღვრებანი. ასეთი პირების აზრით მუშა ერი აბუეტი ქათამივით ყოფილა თურმე, მას არაფრის საღი მოსაზრება არა აქვს, იგინი თურმე ემორჩილებიან ყველაფერსო. ასეთი მარგალიტი ცნობები მაშინ მრავლთაგან თვით მწერლობაშიც განისმოდა. ასეთ პირებს ლუი ბლანი შემდეგი პასუხი მიუგო: ნუ თუ მუშა კაცს, ანუ ხელოსანს მასაზრება და მიხვედრა არ უნდა — თავის ხელობის შესწავლის დროს? ნუთუ მისი შავი ველური შრამა კი მოფიქრებას არ თხაულობს? ნუ თუ მუშა კაცის შრამას უფრო დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს შრამის ნაწილში? ნუ თუ ამათ მეცადინეობას და

შრომის ან მიჭყავს თვით ინტელექტუალურად განვითარების საქმენა. ნუ თუ მათ შრომა, სათამაშო ნივთებისაგან ანაფრათ განიჩქევს? მუშა ხალხი უტუფი მონა ხალხია!—ის მეტყველნი ნეტა რაღა არიან, რომელნიც მთელს წლებს. პროტოკოლების წერაში ატარებენო!... სირცხვილია, რომ ასეთი აზრის პირები ჩვენ შორის დღესაც მოიპოვებინო.

დიდად უკმაყოფილო იყო მის გამო უფრო, რომ ამ გვარ აზრების მექან სხვებს თვით ისეთ პირებსაც კი მოუძებნიდა, როგორც იყო შესანიშნავი მსწავლელი ერნესტ რენანი, ერნესტ რენანის უკანასკნელ მოღვაწეობას ლუი ბლანი გაოცებით უმზერდა, ნამეტურ მაშინ როცა რენანმა ამ ერთმა უმაღლეს განათლებულმა და განვითარებულის გონებითი აზროვნების წარმომადგენელმა, თავის შრომა „სათრანსკეთის განებითი და ზნეობითი რეფორმები“ დაბეჭდა. ლუი ბლანი გაკვირვებულ იყო; რომ ეს უმაღლეს გონების პირი თავის ფილოსოფიიდან პოლიტიკურს აზროვნების ნაწილზედ გადავიდა. მისმა ხუთ მოქმედებიან ფილოსოფიურ დრამამ ხომ ცხადათ დაამტკიცეს რენანის აზროვნება და მიდრეკილება თანამედროვე წეს-წყობილებზედ. ეს დრამა რუსულად დაბეჭდილია ჟურნალ „ვესტნიკ ევროპაში“ მისი თხუზულება, „ქრისტეს ცხოვრება“ მაინცა და მაინც არ გახდა დიდ საყურადღობო მოვლენოდა, ქრისტეს ბიოგრაფიის მხრით რენანზედ ბევრათ მალლა სხვებს აყენებენ. საზოგადოთ რენანს ბევრნი საეჭვოს თვალით უტკეპრიან, ამ ეჭვისთვის მისი ცხოვრებას ცნობებიც კმარაო. ნამეტურ ის აზრი სადაც ეს მინარქიულს და ნაციონალურს აღორძინებას იცავს.

ლუი ბლანის წინაშე მე მგონია რენანის იმ სიტყვებსაც უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, სადაც რენანი ქრისტიანულის მორალის შესახებ აღძრულს საუბარში ამბობს: (ეს სიტყვაც მოყვანილია მის ფილოსოფიურს დრამაში.) „მე განსაკუთრებით მფიქრათვ სათრანსკეთის დემოკრატის, რა მე ან ვეკუთვნი დემოკრატის ზარტის, მე ვთაქრებ, რა ეს ზარტია ცუდს ღვაწლს“

უწევს ამას, ვისაც იგი ემსახურება, მაგრამ რა ვქნათ, ჩემთვის მაინც ძვირფასია სახელწოდება დემოკრატიისა, თუ კი მაში დაცულ იქნება ხალხის სიუფარული, და მისი მოქმედება“ ეს დიდი საყვედურით ამბობს: რომ რევოლუციონერ მოღვაწე ჰიქებს, სოციალისტებს“ და კომუნისტებს ძრეულ მტრეთ სწამთ ბატონის იესოს მოღვაწეობა რენინის შესახებ ჩვენ სხვების ცნობებით ვსაუბრობთ, თორემ ჩვენ მასზედ უმაღლესი შეხედულება გვაქვს, რადგანაც მან ნათელი მოჰქონა სიბნელეს და ბევრს რამეს გადახადა უმეცრების ფარდა და კაცობრიობას ბევრი რამ ასმინა სინათლით და რიალურად. ამან იესო ქრისტეს ცხოვრების აღწერით მეცნიერებათა ნაწილში უკვდავი ადგილი დაიკავა. ვიტყვით, რომ სოციალისტებს, კომუნისტებს და ანარქისტებს, ინგლისში, თვით დიდებულ მსწავლული ჰერბერტ სპენსერიც კი ექვის თვალთ უმზერდა. ამის ერთი წიგნი გვაუწყებს რომ „მე რომელიმე უკუდურეს მონარქიის წევრათ უფრო ადვილად გავხდები თუ კი იქ ჩემი პიროვნება და ცოლშვილი და ქონება დაცული იქნება და მეც მშვიდობით ვიქმნები, ვიდრე დემოკრატიულ რესპუბლიკის გამგეობის ქვეშ ყოფნაო, სადაც ანარქიას, ჩემი ქონების დაქცევ-დანგრევას და დასჯას მუდამ დღე უნდა ველოდეთ“. დიდებული სპენსერი ამას ამბობდა ქეშმარიტებით და ზოგი უმეცარ სოციალისტების საგულისხმობთ, რომელნიც სოციალიზმის დროშის ქვეშ ათას ნაირს არა სოციალურს საქმეებს ჩადიან, იგინი ვნებენ ხალხს, ავაზაკურად მოქმედებენ, ხალხში ნამდვილ მეცნიერულს სოციალიზმის და კომუნიზმის შესახებ მტრობას და ზიზღს ავრცელებენ. ასეთი შეხედულება ჰერბერტ სპენსერს და რენანს გარდა სხვებსაც გამოუთქვამთ, რასაც ლუი ბლანი ბეჯითის თვალთ და ტვინით უმზერდა.

რენანი იყო ნაპოლეონ მესამის თანამგზავრი, დიდი მეგობარი და მისი შვილების აღმზრდელიც. ამ პირს დემოკრატია, რევოლუცია, სოციალიზმი, კომუნიზმი უყვარს კიდევც და არც უყვარს. ამბობდნენ ლუი ბლანის<sup>წ</sup> საგულისხმობად რომ საფრან-

ნეთის სოციალიზმის შესახებ ცნობილი ფილოსოფი ოგუსტ-კონტიც ასეთის აზრის არისო. ოგუსტ-კონტიც თითქმის ასე სჯიდაო. ეს არ არის მართალიო, ოგუსტ-კონტიც თავის პოზიტიურის ფილოსოფიით ბევრი რამ შეანჯღრია და დასცა, ბევრს უმეცრებას გადახადა ფარდა.

მართალია ამას ეს არ მოსწონდა, მაგრამ თავის პოზიტიურს პოლიტიკის ნაწილში კი მინც ეხება მათ და ერთ ალაგას ამბობს: „ხაღხს განათლება და სხვა და სხვა მეცნიერებით უნდა მიეცეს, სხვა და სხვა მეცნიერებაზედ უნდა შეინაცვლოს. უმეცრება“ ამავე აზრის იყო გამოჩენილი ფიზიოლოგი პოლბერი, ეს როცა საფრანგეთის ერის განათლების წესდების ცვლილებას შეეხო, ამ შეხებით მან სრულიად დასცა იეზუიტების დედა-აზრების ბატონობა სასწავლებლის საქმეებზედ... ამაზედ იეზუიტებმა იეზუიტობის დროშაც გამოთინეს და პოლპერი შეაჩვენეს, პოლპერმა თავხარი დასცა მათებურს ეკლესიის უნამუსო იეზუტ მსწავლულთ შარლატნებს, რომელნიც ჩუმად რყენიდნენ დაბალ ერს ღვთის სახელის ხსენებით. ე. ი. სამღთო ისტორიით, დაბადების და სახარების ზღაპრებით. ამასავე ამბობდა ლუი ბლანის ხალხის განათლების შესახებ აღძრულ სიტყებში, კონტის მსგავსად, მკაცრად იცავდა მუშა და ხელოსანი ერის განათლებას რიალურად, სოციალიზმის აღორძინებას განვითარების ძალად სთვლიდა, თორემ თავისუფლება დაკარგული მუშები, ხელოსნები და შეუძლონი განათლებას ვერ მიიღებენო.

1875 წელს გამოვიდა ერთი წიგნი ლუი ბლანის ნაწერებისა, წიგნი შეეხება მთლათ პოლიტიკურს კითხვებს, მასში ზრანდიევიკურად არის მოყვანილი წერილები შემდგენის შინა-არსისა: „გამეცობა და მისი ხარისხი. კეთილ მოღვაწეობაზედ სამოქალაქო სიკეთე, მართველობის დედა აზრები ხაღხის მართვის შესახებ, საზოგადო ხმის მიცემაზედ, წესიერი წარმომადგენელი, სახემწიფო საზოგადოებაზედ, პრეზიდენტის შესახებ, რესპუბლიკაზედ და ბრძანებითი მინდობილობაზედ“ აქვე არჩევს სახემწიფო ორ

დედა აზრს, კონსტიტუციურს მონარქიას და დემოკრატიულს. აქ ისაზღვრება ნათლად თუ რა არის ერთი წესდებულება რას ეკუთვნის და აგრეთვე მეორე, აქ ლუი ბლანი ოგუსტ კონტის მოძღვრებას მოწაფობის, მის მოძღვრებას დიდს სიმპატიას უწევს, 1875 წელს მან განმეორებით დაბეჭდა სადაც დიდის პატივით ეხება ყოველის ერის პირად უფლების მნიშვნელობას, თუ ეს როგორ ღირის დამოკიდებული მართველობის უფლებისაგან, ესენი როგორ უნდა განაგებდნენ, რა გვარს სიკეთეს მოუტანენ ერს, ეს მათ მოვალეობას შეადგენს, რადგანაც სხვა გვარ უკუღმართი შეხედულება, ანუ ძველი მონურ მონარქიული შეხედულება 1789—1793 წელს დაეცაო.

ლუი ბლანი ბევრს სხვა და სხვა განვითარებასთან მეტათ წინ წამდგარი პირია ისტორიულ განვითარებაში, ისტორიული მწერლობის განვითარება მეტათ ვრცელი აქვს. მან თავისი ვრცელის განვითარებით ხელი მოჰკიდა საფრანგეთის რევოლიუციის ისტორიის წერას. ამ ისტორიის პირველი ტომი მას დაუთავებია, 1847 წელს, მაგრამ ამავე დროს ეს ვერ დაუბეჭდია, თავისი საუკეთესო ძალა, ამ ძრიელმა პირმა, თითქმის ამ ისტორიის წერას შეაღია. ამ ისტორიით მან საკმარისად აღამაღლა თანასწორების პატივის ცემა და სიყვარული.

ეს ერთათ ერთი ახალის წესის მეტოდით დაწერილი ისტორია არის რევოლიუციის შესახებ, სადაც დამწერი დიდის ცოდნით და ენერგიულის ნიჭით საზღვრავს ყოველს პიროვნობის მნიშვნელობას თავის ნაწილში. მის ცოცხლად აღწერილი თხზულება თვალ წინ გიყენებს როგორათაც მრავალ გამოჩენილ უდიდეს მოაზრე მწერლებს, თავიანთის უარ მყოფელის მოძღვრებით, ისევე სხვა და სხვა მებრძოლთ გმირებს თავიანთის შორს გამჭვრეტელის ღირსებებით, ეს მეტად სიტყვა კაზმულის და მეცნიერულის კილოთი ხსნის და არკვევს ყოველ სოციალურ აზრის მოვლენას და აღორძინებას. პირველთ

ტომი შეიცავს მხოლოდ შესავალს საზოგადო ფილოსოფიის და ისტორიისას. ერთი მწერალი შენიშვავს, რომ სრულიად ნემენცების ფილოსოფოსებთა მოძღვრების მსგავსად აქვს ლუი ბლანს ნაწერი თავის ისტორიაო. თანხმად მეცნიერულს კითხვების აღსნაში მეცნიერული მოვლენანი, მეცნიერების გამოჩენა, ხელოვნება, საზოგადო ცხოვრება, სარწმუნოებრივი მხარეები, მიდრეკილება სხვა და სხვა სარწმუნოების ერთა ურთი ერთ შორის კარ დამოკიდებულება, სამის უკანასკნელის საუკუნისა აკინძულია თავის მიმართვით და წარმოდგენილია როგორც ერთი შეკრული რამე განძი.

ისტორიული განვითარება მისი ფიქრით, რაშიაც ეს ეთანხმება ფიხტესო, ამბოს: ერთი მწერალი შეიძლება გავარკვიოთ და გავყოთ სამ წილათ, ანუ სამს ხანათ, ავტორიტეტის საუკუნო—იცვლება ინდივედუალიზმის საუკუნედ, ფიხტე ამას ცარიელ თავისუფლებას უწოდებს, რომლის დასაწყისიც და მასთანავე ყოველ ნაირ თავისუფალ გამოთქმულობა სძევს რეფორმაციაშიო. ინდივალუიზმის საუკუნე რევოლიუციის მეოხებით გადადის თავისუფალ ძმობის საუკუნეზედო. უმეცრება ვარდება ძირს, მეცნიერება ფრთებს ისხამს და დღესასწაულობს, სარწმუნოება სპეტაკ მიმართვას ითვისებს, იგი მეცნიერებაზედ ინაცვლება. მისი ბევრი ცრუ მორწმუნებათა მხარეები ეცემიან და სარწმუნოებრივი მიდრეკილებანი სინიდისს და ზნეობაზე ფუძნდება და იცვლება, როგორც ამის ნიშანი დიდებულმა ჰერბერტ სპენსერმაც გვიჩვენა და მან თავის ფილოსოფია ახალის წესით დაამყარა ბოტანიკაზედ, ქიმიასზე, მინერალოგიაზე, გეოლოგიას, ვარსკვლავთ რიცხვას, სოციალოგიას, ბიოლოგიას და ანტომიაზედ. ასეთ ფილოსოფიური წიგნების მეოხებით ილევება ყოველივე ძველ მეცნიერთ და ფილოსოფთა მოსაზრებას და განმარტვის მონობას მოსპობა ეძლევა, თავისუფლება იდგამს ფეხს და დღესასწაულობ მის მაგიერ. კერძო ცხოვრების წესების დამცველი აზრები ილევებიან და ნაცვლად ამისა ფუძნდება და არსდება.

ძმობა, ერთობა, სიყვარული და თანასწორობა ე. ი. კომუნა. ამ ისტორიის წერის მეოხებით ლუი ბლანი საფრანგეთის ერის საყვარელ მწერლად გარდაიქცა. მის ისტორიის ერთი ტომი რუსულ ენაზედაც არსებობს. ამ ხაყურადღებო ისტორიის შესავალი საფრანგეთის მწერალ ქალის ჟორჟ-ზანდის წინა სიტყვაობით იწყება.

ჟორჟ ზანდის სიტყვით, ლუი ბლანს ეს კაი ისტორია 18 წლის განმავლობაში დაუწერია. ამის წერაზედ მას დიდი უზომო დრო დაუხარჯავს. ჟორჟ ზანდი გატაცებულია ამ ისტორიის კითხვისაგან, იგი დიდის დიდებით ეხება და მოიხსენებს ამ ისტორიას, ეს წიგნი ძეგლი არისო, რომელიც სამუდამოთ დარჩებაო, ეს არის საქმე პირველ ზარისხის უნიკიერესის პირისაო, რომელსაც აფუძნებენ და საზღვრავენ უდიდესი პირებიაო. მისი სუნთქვა არის სულის გამაცოცხლებელი, იგი არს უმაღლეს ფილოსოფიური ნაშთიო, ყველა შესანიშნავ თანამედროვე პირებისაგან. ამ ისტორიას თურმე ბევრი ლუი ბლანის დაუდევრობის მეოხებით სოციალისტურს მნიშვნელობას აძლევდნენ, კერძო დანიშნულებისამებრ, ესენი სწერდნენ რომ ლუი ბლანმა საზოგადო მეცნიერული ვალი, შრომა და მოთხოვნილება კერძო მოთხოვნილებას შესწირაო. ე. ი. სოციალისტების სამსახურს, მათს გულის ძგერას, მათს სიამოვნებასო.

ჟორჟ ზანდის ფიქრით ლუი ბლანი ჟანჟაკ-რუსოსთან უფრო ახლო სდგას, ვინემც ვოლტერთანაო. ლუი ბლანით ვოლტერის ყოველი მოძრაობა ზღოლოვილებანი სარწმუნოების თანხმად არისო: იგი მის მოვლენით ხსნისო, ამ ორი პირის შედარება როცა უხდება, რუსოს ვოლტერზედ მაღლა აყენებს. ჟორჟ ზანდის წინასიტყვაობის შემდეგ მიჰყვება მეორე წინასიტყვაობა, ეს წინასიტყვაობაც შესანიშნავია დიდათ. ამის შემდეგ შესავალია ისტორიისა, დასაწყისი და მიზეზი რევოლიუციისა, აქ ამბობს რომ სამი უმთავრესი დედა აზრი ჰქვლობს. ერსა და ისტორიისაო.

ისტორიკტი—ინდუვედუალიზმი და ქობაჲ. პირველი წიგნი-  
ივანე გუსი \*) ლუტერი, კალვინი, მონტანი, გობერი, ლანგე,  
ბოტესი. ინდუვედუალურის ფილოსოფიის პოლიტაკურის  
ლიგის პარტია, ბურჟუაზია, ბურჟუაზიის პროგრესი, საერ-  
თო მფლობელობა. ყველა საზოგადო კრებებში წოდებაანი,  
რიშელიე, მეფენი, იანსენიზმი. კოლებერი და ლუდოვიკ  
მეთოთხმეტე შემდეგ: რეგენტობა, ფინანსისტის ლოუს  
სისტემას ყველა მათ თანა სდევს პროგრესი ბურჟუაზიის,  
მეთვრამეტე საუკუნე. ინდუვედუალიზმის დედა აზრები მიღე-  
ბულ იქმნა ბურჟუაზიისაგან. მეთვრამეტე საუკუნის  
ფილოსოფია, ვოლტერი, კანდილიონი და დეკარტი. ენცი-  
კლოპედია: დალამბერი, დიდრო და სხვანი. ქრისტიანობის  
მოკამათე წიგნები, იზუტიების დაცემა, კანგანელი, მონტესკიე.  
პარლამენტი, უმალლესი იუსტიცია, რევოლიუციონური  
ტრადიცია, სემპიერი, ჟ. რუსო, გოლბახი, ტიერი და მომპჟ.  
მესამე თავი ბრძოლა მონოპოლიის წანაღმდეგ, ინდუვედუა-  
ლიზმის ტრიუმფი, ვაქრობისა, ანუ კონკურეციისა. მონტესკიე  
და ტიურგო, ამქარი და ხელოსნები, ხარჯი სულზედ გარდა-  
სახადი, მარილის იჯარა, დამოყენის გარდასახადი, კენიე და  
მისი მრძღვრება, მორელი, მახლი, ლანგე, ეკონომისტები,  
მირაბო უფროსი, მალიანი. ხარჯი პურის ვაქრობაზედ.  
ნეკერი, ტიურგო და ამქრის გაუქმება. დამატება: ისტორი-  
ული სინამდვილე, გლენების ომი.

ყველა ესენი აწერილია დიდის შესანიშნავის ნიჭით,  
სანატრელია რომ ასეთ წიგნებს ჩვენი ყმაწვილები კითხუ-

\*) ივანე გუსი. ამ მშვენიერი ისტორიიდან ერთი ადგილი ივანე  
გუსის შესახებ ქართულად სთარგმნა დავით ჩქოტუამ, რომელ თარგმანი  
დაბეჭდილია 1873 წურ. „კრებულში“. დ. ჩქოტუა ერთი უმალლესად  
განათლებული ქართველი კაცი, ქართულ მწერლობაში კარგად ცნობილი  
და ამ გვარი მოღვაწე, დაიღუპა 1883 წ. ცილის წამებით. კაცის კვალაში  
გარიეს, რაზედაც დიდი დავაც იყო მაშინ და 20 წლით ციმბირს იქმნა  
გაგზავნილი. მე მის მცნობს დიდათ გულს მაკლია მისი დაღუპვა.

ლობდნენ, ჩემს პირველს ნატვრას ეს შეადგენს. რომ ჩემი სამშობლო ქვეყნის ერის ახალი თავობა დაუფასებელ მეცნიერულ წიგნების შეთვისებას მიზღვედნენ და მის საშვალებით გონებით განვითარდნენ. ეს არის ჩემი ნატვრა, ჩემი ლაღაღება, ჩემი ახსარება, ამას ვალევე მე ჩემს ღონეს და ძალას რომ ქართველ ყმაწვილ კაცებმა ლუი ბლანისთან მწერლები და მათი ნაწერები უყურადღებოთ არ დასტოვონ. ლუი ბლანის ანგლიაში ყოფნას და მათ ისტორიის კარგად შესწავლას ეს ისტორიაც აჩენს. ნიკ. მახაილოვსკი სწერს: ინგლისში ისე ვერც ერთმა ფრანგმა ვერ ისარგებლა როგორც ლუი ბლანმანო. ვერც ლედრუ ლორენმა და ვერც სხვებმაო. ესენი დაჩვეულნი იყვნენ ისე შესწავლას უბრალოდ, მაგრამ ლუი ბლანიკი სულ სხვანაირად დახელოვნდაო. ლუი ბლანი ამ ისტორიაში ჩინებულად მოუთხრობს, თუ ანგლიაში თავიანთ ქვეშევრდომთ დამნაშაფებს როგორ სჯიდენო, რომ მის მეოხებით გულში ჩაენერგათ რევოლიუციის შიშიო. მერვე ვინ შერებოდა ამასა? განათლებული და ჰუმანიური ინგლისიო. აქ არის მოყვანილი რომ ინგლისელნი თავიანთ ქვეშევრდომთ ავაზაკებს ზარბაზნის ლულაში აგდებდნენ და ვასროლის დროს ტყვიას გაჰქონდაო და მიწაზედ ართხავდაო. რომ მის მეოხებით ქანერგოდათ გულში შიში და დამონებულიყვნენო.

გარდა ამეჲისა სხვა ბევრის ღირსებისაა ეს ისტორია, მეტათ კარგათ ხსნის პიროვნების მნიშვნელობას. ზოგნი სწერენ, რომ საფრანგეთის ერის ერთ დროის თავად-ახნაურების პიროვნების განსაზღვრაში ბოკლი უსწრობს წინაო, თუმცე ლუი ბლანის ისტორია დიდი მნიშვნელობის კარის და მისი თეორია ძრიელ უახლოვდება კონტის ფილოსოფიის ისტორიასაო. ყველაზე დიდი ადგილი აქ ძმობის განსაზღვრას უკავია, ძმობას ლუი ბლანი კაცობრიობის ოჯახისთვის სამღვთოდ და სულიერ ვალად სთვლის, ყველა ამის მიზნათ კი იმას თავისუფლების განსაზღვრა აქ სახეში, ეკლესიის მამებისაგან

დაარსებულ ძმობას ეს უარს ჰყოფს, რადგანაც სისხლი და-  
თესლი ერთმანეთს მოაშორეს მათო. იმის მაგიერ რომ მათ  
ცა დედამიწასთან დაეხლოვნათ, მათ ეს ერთმანეთ დააშორესო,  
მის მეოხებით მათ დააფუძნეს დიდი უთანასწორობა, მოძღ-  
ვარსა და კაცთა შორისო. მაშასადამე ეს წინააღმდეგობა არის  
ძმობის და ქრისტეს მოძღვრებისაო. ამ ისტორიას ერთობ  
დიდი გავლენა აქვს სხვა და სხვა გამოჩენილ მწერლებზე.  
ედგარ კინეს და ედგარ მინეს საფრანგეთის ისტორიის მთარ-  
გმნელი რუსის მწერალი არსენიევი, ყველაზედ მაღლა ამ ის-  
ტორიას აყენებს. რევოლიუციის შესახებ შლოსერსაცა აქვს  
ნაწერი, გამოჩენილს ზიბელს, ამერიკელს ტოკვილს, გამო-  
ჩენილს ლამარტინს, მიშლეს, როხუას და სხვებს, მაგ-  
რამ ყველა ამათზედ ლუი ბლანი მაღლა სდგასო. ყველაზედ  
ჩინებულად ხსნის ყველა მოვლინებას და ისტორიულს მიზე-  
ზებსაო. ლუი ბლანს უკავია გამოჩენილი, თითქმის ყველა-  
ზედ უმაღლესი სახელი იმ ისტორიათა რიცხვში, რომელნიც  
კი მიძღვნილ არიან რევოლიუციის შესახებო.

არც ერთ მეისტორიეს არ გაურკვევია ისე უღრმესად,  
და ისე ხეირიანად რევოლიუციის განვითარების ისტორია,  
როგორც ლუი ბლანმა. არც ერთმა მწერალმა ვერ წარმოა-  
დგინა საფრანგეთის 1789 წლის სურათი ისე მოხერხებით და  
დიდის ცოდნით, როგორც ლუი ბლანმა. ამის ისტორია-  
ეკუთვნის ერთ უშესანიშნავეს თხზულებას, ასეთის ცნობებით  
და განვითარებით აქამდის არავის დაუწერია, აქ თითქმის  
ყოველს ფურცელზედ და სტრიქონშიაც კი იმუსრება სა-  
ხემწიფო წესების პატივის მცემთ პირთ უკანონო და მაღალნი  
დედა აზრები. უთანასწორობა და ათასი კიდევ სხვანი, რანიც  
დღეს შეურყევლათ არსებობენ. იგი ამ ისტორიის მასალების-  
ფის ბრიტანიის ბიბლიოტეკებშიც კი წავიდა, სადაც ბევრი  
ცნობები იპოვნა და რევოლიუციის ისტორიას საკმარისი ნა-  
თელი მოაჭინა. აქ მეტად კარგად ეხება ქრისტიანობის ავ-  
ტორიტეტს და მის წესებს. დიდის ჭეშმარიტების ცოდნით

არის შეხებილი ღ წარმოდგენილი. როგორც ავტორიტეტი ისევე  
ინდუვედუალიზმი და ძმობა. აქ ვრცელის მიმოხილვით არჩევს  
ამ კითხვებს და ყველას რასმე შენიშვნის მოვლენას უძებნის  
და ისე ააშკარავებს. როგორათაც რომელიმე პოლიტიკური  
და სარწმუნოებრივ მოვლენათა მიზეზებს, ისევე ყოველ დრო-  
თა ერის მეცადინეობას. საუკეთესო ნაწილის წადილს, მაჯის  
ცემას და დაულაღაგ ბრძოლას თანასწორობის, თავისუფლე-  
ბის და ძმობის აღსადგენათ. ისტორიულ მწერლობის შესახებ,  
სხვა და სხვა პირნი სხვა და სხვა ნაირათ სხნიდნენ და მარ-  
ტავდნენ. ეს საგანი ჰეგელმაც არ გაუშო უყურადღებოდ,  
ეს თავისებურად ხსნის ისტორიის განვითარების მიმოსვლვას.  
სენ-სიმონისტები სხვა ნაირათ ეხებოდნენ, ოგუსტ კონტიც  
შეხორ და მან ისტორიულის მწერლობის კანონმდებლობაც  
განსაზღვრა, თუ რაზედ რაარის დამყარებული. ლუი ბლანმა  
ამ პირთა მიხედვით, თუ არა-თავის ისტორიას სხვა ნაარად  
მოექცა და ისტორიაში ისტორიულის მიმოსვლა სამს უდიდეს  
დედა აზრებს დაუკავშირა, ამის მხრივ მას ვერც ფეიერბახი  
სჯობნის, ვერც ვოლტერი, შტრაუსი, ვერც რენანი და  
ვერც რა სხვანიო, რომელნიც სარწმუნოებას და ერის სული-  
ერს მხარებს შეხებიან.

1880 წელს ლუი ბლანს გამოაუცია ერთი წიგნაკი, სა-  
დაც შეხებია მინისტრთა გამგეობას და ვითარებას. აქ ეს  
ამბობს გამგეობა მათ ეკუთვნითო და ის კი არ იციან, თუ ამის  
გამგეობა აზრს ეკუთვნის და უნდა განაგებდეს მასზეო. ნამდვი-  
ლნი გამგენნი და მმართველნი დედამიწისა ისინი არიან, ანუ  
კანონმდებელნი რომელთა ნათელი აზრიც მომავლისთვის კარგს  
რამე საქმეს აარსებენ. ამზადებენ რიალურის ძალოვნებით სავსე  
მომავლის მწუხარე ახალ თაობას, ვისიც სიტყვა და მაგალითი  
კაცობრიობას თავის სულოვნებით ამალღებს, ვინც ამ მსოფ-  
ლიო უთანასწოროა წესებს მეცნიერულის სწორ — გამჭვრე-  
ტელობით ბოლოს უღებს.

ამასვე შესანიშნავი თხზულება არის „სიკვდილით დასჯის კაუქმება“ ეს თხზულება ამის გამოჩენილს ნაწერებში ბოლოს ჰუმანიურს თხზულებას შეადგენს, მხოლოდ გაუთავებელია, რადგანაც სიკვდილია უსწრო და გათავება ვედარ მოასწრო. ამ თხზულების შესახებ რუსული მწერლობაც მოგვითხრობს: რომ ეს თხზულება ლუი ბლანის ნაწერებში ერთ უშესანიშნავს თხზულებათ ჩაითვლებოა, იგი არც ერთს სხვა მის თხზულებას არ ჩამოუვარდებოა. იგი ჩინებულად არის დაწერილი ფილოსოფიურის კილოთი, მას ჰფლობს მეტათეზუმანიურ და იურადუჯი მსაჯელობანი, იგი აღსავსეა მეტისმეტის ჰუმანიურ რეალურ მიმართვით. გარდა ამებისა კიდევ სხვა ღირსებაც აქვს და მასთან უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რომ დაეთავებინა, მაგრამ ეს ვერ იქმნა და ლუი ბლანი ბედმა თავის გაუთავებელ შრომას გამოასალმა 1882 წ. 71 წლის მოხუცი.

ავათმყოფობა ცოლის სიკვდილის შემდეგ დაემართა, უკანასკნელ ძმა მოუკვდა და ამან კი ისე იმოქმედა მასზედ რომ მალე მოეღო ბოლო. თავის შეძლება რაც კი ჰქონდა მწერლობით შეძენილი, ყველა ეს დაუტოვა ობლების პანსიონის სასარგებლოდ, რომელიც თვითონ მანვე დაარსადარიბ ობლების და ნაბიჭვრების აღსაზრდელად. მის გარდაცვალება ერთის მწერლის სიტყვით არის დიდათ შესანიშნავი, მთელს ევროპაში სამწუხაროა, რადგანაც ამ უღრმესად განვითარებულს პირს თავისი უკანასკნელი თხზულება გაუთავებელი დარჩა. მეორე სწერს: „ღებუტატა ზაჯატამ, აკადემიამ შეცნიერებისამ, და საქრთოთ მთელმა საფრანგეთმა დაჰკარგა, ერთი უშესანიშნავი სხსსარი ჯუი ბჯანიო. ლუი ბლანი იყო უმაღლესის თვისებისა, ყოველ უკანონობა მას ღრმით აწუხებდა, უთანასწორობა მისი ჰმუნვარება იყო, იგი ღირსი იყო იმ ადგილისა, რომელიც მას ეკავა შესანიშნავთ კაცთა დასში, რომელთაც მას მიანიჭეს საზოგადოთ სიტყვის წარმოთქმის ნება.

მის სიკვდილის ამბავი დიდის მწუხარებით მოხსენდათ  
დეკემბერს დეპუტატთა პალატას. მოხსენების შემდეგ მარ-  
თველობას სთხოვეს, 10,000 ათასი ფრანკი, დასაფლავების-  
თვის, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის საფრანგეთის სა-  
ზოგადო ხმის მიცემის დაფუძნების წინაშეო. ამის თანხმა  
იყვნენ 380 დეპუტატი, 87 ხმის წინააღმდეგობით, რომელ-  
შიაც ხემწიფის და ეკლესიის მომხრეები ერივნენ, ზოგიერთნი  
დეპუტატები არ დაესწრნენ ლუი ბლანის დასაფლავებას,  
რადგანაც ესენი: სარწმუნოების მოყვარე იყვნენ და ლუი  
ბლანს კი სამოქალაქო წესით მარხავდნენ, ზოგიერთნი მიტომ  
არ დაესწრნენ, რადგანაც 1871 წლის მომხდარ სისხლის  
ღვრის მიზეზი მას ეღებაკისერზედაო. ეს კი სულ უმიზეზოაო,  
ამბობს ერთი საპატიო მწერალი რუსისა. ზოგნი უარს ამბო-  
ბდნენ, მიტომ რომ მან დანაშაულებით დასწერა, რომ 1871 წ.  
რევოლუციამ შე შიშის ზნადს და სიძულვილს შეგვრისა. ამის და-  
სამტკიცებლად ორი ფაქტიც მოიყვანეს. თუმც ზოგი  
ერთი დეპუტატები არ მოვიდნენ დასაფლავებაზედ, მაგრამ  
მაინც მის დასაფლავებას დაესწრო ას ორმოცდა ათი ათასი  
კაცი. ყველაწოდების და ასამდინაც სხვა და სხვა დელეგა-  
ტები.

დელეგატებს ყველას ნიშნათ წითელი ჯვრები ჰქონდათ  
გაკეთებული. დასაფლავებაზედ პოლიციამ არ აუკრძალა ამ  
ნიშნების ტარება, ისე როგორც კომუნისტ ოგუსტ ბლან-  
კის საფლავზედ აკრძალეს. დასაფლავეს 12 დეკემბერს. თუმცა  
მართველობამ ფული დანიშნა დასაფლავებაზედ, მაგრამ მაინც  
ესენი მეცადინეობდნენ იმისთვის ყურადღება სულ არ მიექ-  
ციათ. მის გასვენებამ პარიზის სამოქალაქო მართველობას  
შემთხვევა მისცა ჩინებულის მანიფესტაციისა, საფლავში ჩა-  
შვებამდის სიტყვა წაიკითხა ბატ. ედმონდმა, ეს სიტყვა გა-  
მოსათხოვრათ დაუწერია ვიქტორ ჰიუგოს და წასაკითხათ  
წარმოუგზავნია, თვით კი ვერ დაესწრო მოხუცებულობის  
გამო.

სიტყვით ბატ. ედმონდმა მძლავრის კვშმარიტებით უჩვენა საზოგადოებას მის ღირსება, მის უკანასკნელ თხზულება „გაუქმება საკვდილით დასჯისა—ანუ სასჯელისა“ ჩაითვლება ერთ უშესანიშნავ თხზულებათაო, მოიხსენა რომ განსვენებულს და აქ მყოფ შლებერთ დიდი სამსახური მიუძღვისთ მონების გაუქმებაში, ამის შემდეგ წარმოსთქვა ერთმა დებუტატმა სიტყვა და ასე დააბოლოვა ლუი ბლანის შესახებ: „მან დასწერა თავისის სახელფანს დროშაზედ კაცობრიობის დეკლარაცია თავგანწირულება, ან შეერთება მსოფლიო ძმობისათვის, ამ დროშის ქვეშ თავს მოიყრის და შემოჯგუფდება მთელი ახლანდელი მშვიდობიანი დემოკრატიის დასის მებრძოლნი, რომელნიც ბოლოს მანც განთავისუფლებიან უნაყოფო და დაუსრულებელ ქენჯნა მონებისაგან“ ამის შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები დებუტატთა ბორდემ და ლაპრემ. ამათ შემდეგ წარმოსთქვა ასოთ ამწყობმა, ხელოსანმა ალფერმა ასე: „რეფლექცია არ შეიძლება ჩავთვალოთ რომ მან მიაღწია თავის მიზანს, რადგანც მუშა ხალხს კიდევ არ აძლევენ უფლებას თავისუფლათ შეკრებისათვის საზოგადო საზრუნავს კითხვებზე მოსადაპირაკებად: მაგალითად რომ მუშებმა უზრუნველ ჰქონ თავიანთ თავი უსაქმობის დროს, ანუ სიბერეში“ უკანასკნელათ წარმოსთქვა სიტყვა ბოტენმა, სიტყვა სენატორმა და აკადემიკმა ანრიმ საფრანგეთის ისტორის ავტორმა. მან ისაუბრა ლუი ბლანის ისტორიის ღირსებაზედ, და მნიშვნელობაზედ. დამსახურებელ საზოგადოებას მიუთითა ლუი ბლანის ერთ წიგნზედ რომელმაც ნათელი მოჰქინა ისტორიულს ფილოსოფიურს განვითარებასო. ორატორმა არ დაივიწყა აგრეთვე წესდება მუშების შესახებ. დასაფლავების დროს მართველობამ გაუგზავნა სამხედრო ჯარი, მუზიკა და სულ ამ ყოფით დაასაფლავეს ეს უდიდესი მსოფლიო პირი.

ლუი ბლანის დანაშაულებათ იმას სთვლიან, რომ კომუნელთა დახვრეტის დროს, მან ხმა არ აღამაღლაო, მკაცრი წინააღმდეგობა არ განუცხადაო. არამედ რესპუბლიკის პარლამენტში იჯდა და პორტუგელის ქალაღლებს ასწერდა ხელ-

საო. იმ დროს, როცა 18 ათასი კომუნელები დახვრეტეს, ეს ასე არ უნდა მოქცეულიყო. მით უფრო რადგანაც ამ მოძღვრებას თვითაც კი ეკუთვნოდა ერთ დროს და მის განვითარებასაც ჰქადაგებდაო. ჩვენ ამაზედ არას ვიტყვი, ის კი ვიცით და თვით ლუი ბლანის ცნობებიც წავგვიკითხავს, რომ იგი ამ სასჯელით დღით შეწუხებულა, თითქმის აღშფოთებული ყოფილა.

1882 წ. „დროება“ № 255 აი რა წერილი დაიბეჭდა ლუი ბლანის გარდაცვალების გამო: „საფრანგეთის რესპუბლიკელთა დასს დიდი ზარალი მოუვიდა ლუი ბლანის სიკვდილით. რესპუბლიკელთა უკიდურესს უძვირფასესი წარმომადგენელი თავისი გამოჩენილი ისტორიკოსი ლუი ბლანი, რაიც ასპარეზზედ გამოვიდა, იქიდანვე ერთი აზრი, ერთი შეხედულება-მიმართულება დაიკავა, მისი წადილი იყო საფრანგეთის ხალხის, დაბალი, მუშა ხალხის ამაღლება, განვითარება. მუდამ ამათი ხელმძღვანელი იყო იგი და დღესაც, როდესაც წელს ძლიეს დაუშრეტელ მუშაკთ თავის ქვეყნის ბედნიერებისათვის, დღესაც იგი თავ-გამოდებით ომობდა, თითქმის მეთაურებდა იმ დასს, უკა უურეს მემარცხნეს, რომელსაც ადრიდგანვე მიეკედლა. ლუი ბლანის სახელი საფრანგეთის ისტორიაში მოიხსენება იქ, სადაც საფრანგეთის სხვა გამოჩენილ დიდებულ შვილთა სახელები. მთელი საფრანგეთი დასტირის ამ უამად ლუი ბლანის გვამს და განსაკუთრებით მუშა ხალხი. დიდხანს იქნება ხსენება კეთილ მოღვაწე პირისა, რომელმაც დაუტევა თავის ქვეყანას ბევრი შესანიშნავი ისტორიული ნაშრომნი.

ი ა მარტშიც 1884 წ.



32  
ჭ 551

---БУКИНИСТИЧЕСКИЙ  
Магазин № 22  
"САКЦИГНИ"  
Индекс № 5151/125

იბეკლება და მისი გამოცემა

კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა ანტონ ფურცელაძისა

T  
22 1

ფანი სამი შაური

ზ. ჭიჭინაძე

მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 22 №